კვირა, 1917 წ. მარიამობისთვის 13 (26)

წელიწადი მესამე

ფასი 10 კაპ.

საქართველო

მისამართი: თბილისი, მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

კონტორა

გაზეთის ფასი პირველ მკათათვიდან წლის დამლევამდე 10 მან. 3 თვით—5 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 2 მან. ცალკე № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილი იქმნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

№ 178 ეროვნულ-დემოკრატიული გაზეთი № 178

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

ვერდენთან გერმანელები ცხარე კონტრ-იერიშებს აწარმოებენ.

გერმანელთა „ცეპელინები" ინგლისს თავს დაესხნენ.

დროებით მთავრობის დადგენილებით ამიერ-კავკასიას დამფუძნებელ კრებაზე 32 წარმომადგენელი ეყოლება.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ეროვნულ საკითხების განსახილველად საგანგებო განყოფილება არსდება.

ხარკოვის ქალაქის საბჭო მოსკოვის თათბირს ბოიკოტს უცხადებს.

დროებითი მთავრობა საადგილ-მამულო საქმების დაწვრილებით განხილვას შეუდგა.

წერილები

მეთაური—პაპის საზავო ნოტა.
ტ. ტ.—ჩინეთის გამოსვლა.
ქართული პრესა.

ს. ქურდიანი. საქართველოს ტყეები და მისი მომავალი.
ე. ბარრიკი—მიწის საკითხი.

ქალაქის საბჭოს სხდომა.
კორესპონდენცია ზესტაფონიდან.
დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის.
„რუსეთ-ავსტრიის ბრძოლის ველის რუკა".

გაზეთ „საქართველოს" კანტორისაგან

გაზეთის გამოცემისთვის აუცილებელ ხარჯების შესამჩნევლად გადიდებამ (მუშების ხელფასის ერთი ხუთად მომატებამ და გაზეთის ქაღალდის ერთი ათად გაძვირებამ) გაზეთ „საქართველოს" გამომცემლობა აიძულა 15 მარიამობისთვიდან გაზეთს ფასი დროებით ისევ მოუმატოს და გახადოს იგი ნომერზე—15 კაპ.

დღეს, 13 მარიამობისთვეს, მე 40 დღეა გარდაცვალებისას

თამარ როსების ასულის
ყანჩელისას

ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებს მეუღლე განსვენებულისა, ალექსანდრე ივანეს ძე ყანჩელი. წირვა—10 საათზე, პანაშვიდი—12 ს.

1-—747-—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ წევრთა და თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა და ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7-მდე „საქართველოს" რედაქციაში ბ-ნ ევგენი იაკობის ძე გველესიანთან.

1—732—თ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 5—7-დე ტუსკიის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.

751

გორის საქალაქო არჩევნებისათვის

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ხმოსანთა კანდიდატების სია არის

№ 2

1. ამირეჯიბი ირაკლი გიორგის ძე—ნაფიცი ვექილის თანაშემწე.
2. მებურიშვილი ამბროსი ბესარიონის ძე—ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელი.
3. შიუკაშვილი ნიკო ივანეს ძე—საქალაქო სასწავლებლის უფროსი.
4. გვერდწითელი გაბრიელ ივანეს ძე—ექიმი.
5. უხურგუნაშვილი რაჟდენ სოლომონის ძე—ვაჭარი.
6. ერისთავი გიგო ნიკოლოზის ძე—ბანკის დირექტორი.
7. რომანიშვილი დავით მიხეილის ძე—კომერსანტი.
8. კაპანაძე გიგო თეიმურაზის ძე—ბანკის დირექტორი.
9. კვალიაშვილი გიორგი დიმიტრის ძე—ბანკის დირექტორი.
10. ლიპარტიანი პარმენ ქაიხოსროს ძე—ფოსტის უფროსი.
11. ხარატაშვილი ალექსი სოლომონის ძე—ვაჭარი.
12. თარხან-მოურავი ელენე ზაალის ასული—პრა-კერის სკოლის დამარსებელი.
13. წერეთელი სიმონ დიმიტრის ძე.
14. ხალარიძე გიორგი ნიკონის ძე—მასწავლებელი გიმნაზიისა.
15. კოშორიძე პლატონი გაბრიელის ძე—წვრილი კრედიტის მოხელე.
16. ეგნატაშვილი იაკობი გიორგის ძე—კომერსანტი.
17. ციხეთათრიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე—მოხელე ფოსტისა.
18. ტიტიაშვილი დავით დიმიტრის ძე—მოხელე ფოსტისა.
19. მახარაშვილი დიმიტრი პავლეს ძე—მრეწველი.
20. ხუცაშვილი გიორგი იოსების ძე—მუშა.
21. ბებიაშვილი გიორგი ზაქარიას ძე—მუშა.

ექიმის თანაშემწე
ვანო საათაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს საღ. 6—8 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებობ, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრიზაციით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა და სხ.
მისამართი: ფასანაურის შესახ. № 3.
(1-ლი სამილიციო ნაწილი).
1—748—თ.

[illegible]
[illegible] ანთიმოზის ძე
ქალანდარიშვილი
[illegible]
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს
მანგლისში
საკადეტო კორპუსის ბანაკში

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი ქალისა
ე. ივ. ბალარჯაშვილი-მათეშვილისა
იღებს ავადმყოფებს:
დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ.
ბერძენიშვილის და ორბელიანის ქუჩის კუთხე № 20.

ექიმი
გ. ფ. მგალობლიშვილი
ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: [illegible] ქუჩა № 41, ზემო სართული, ტელ. 9—58.

ექიმი
ა. ი. მაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 4. (თ.—203—)

ექიმი
გ. დ. წინამძღვრიშვილი
ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პროს. № 86, მეორე სართული.

ექიმი
ა. დ. კეკელია
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.
(თ—703—10)

ექიმი
მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 19.

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა დილის 1 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 7 საათამდე.
გუნიბის ქუჩა № 41
თ—719—5

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს [illegible] და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

თბილისი, მარიამობისთვის 13.

რომის პაპის საზავო ნოტა

ევროპის ომი უკვე მეოთხე წელში გადავიდა და შესაძლებელია დღეს უფრო ბუნდოვანია მისი დაბოლოვების საკითხი, ვინემ სხვა დროს იყო. ეხლა ახალი სახელმწიფოები ებმებიან კიდევ ომის რკალში, ჩინეთმა გუშინწინ გამოუცხადა ომი გერმანეთს და ავსტრიას.

ევროპის იმპერიალიზმის გაშიშის გამონელება ძნელი საქმე გამოდგა და ისევ მძვინვარებს აქაფებული სისხლის ზღვა.

რომის პაპმა ბენედიქტე XIV-ემ განმეორებით სცადა ახალი საზავო წინადადების გამოქვეყნება; ეს აქტი უთუოდ დიდ საერთაშორისო ფაქტად ჩაითვლება.

შესაძლებელია ბევრი იყოს დღეს ურწმუნო და არ დაიჯეროს, რომ ამ ნოტას შეუძლია ზავის დაახლოვება, მაგრამ ნოტაში საინტერესოა დაყენება საკითხის და ამის გარდა ერთგვარი შეფასება მებრძოლ სახელმწიფოთა ღირებულებისა.

პაპის უკანასკნელი წინადადება იმით გაირჩევა წინანდელ ნოტებისაგან, რომ უწინ მხოლოდ და მხოლოდ ცარიელი მოწოდება იყო ზავის ჩამოსაგდებათ, დღევანდელი ნოტა კი უფრო გარკვეულად ამბობს ზავის პირობებზე და ადგენს ერთ მთლიან პროგრამას.

პროგრამის პირველი მუხლები უახლოვდება პრეზიდენტ ვილსონის პუნქტებს. პაპის ზავი უნდა იყოს სამართლიანი და გამძლები. პაპა მოითხოვს საერთაშორისო არბიტრაჟს, სახელმწიფოთა შორის სამედიატორო სასამართლოს, რომელსაც უნდა ჰქონდეს შეძლება, რომ იძულებულყოს განაჩენს ძალით დაუმორჩილოს ის სახელმწიფოები, დამორჩილებას რომ არ მოინდომებენ, უნდა იყოს მოსპობილი ყველა ზღუდეები, რომელნიც ხელს უშლიან სახელმწიფოებს გზათა მიმოსვლაში, უნდა გამოცხადდეს ნაციონალ ზღვათა ნამდვილი თავისუფლება, უნდა ანაზღაურებულ იქნას შეძლების დაგვარად დაზარალებული ერები. გერმანეთმა უნდა გაანთავისუფლოს ბელგეთი და საფრანგეთის დაპყრობილი დეპარტამენტები, გერმანეთსაც უნდა დაუბრუნდეს წართმეული კოლონიები, სამართლიანად უნდა იქნას გადაწყვეტილი იტალიის და ავსტრიის დავა, სომხეთის, პოლონეთის და ბალკანეთის ერთა ბედი.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ ნოტას სამთა შეთანხმების სახელმწიფოები იმპერატორ ვილჰელმის და კარლოსის მორიგე ინტრიგად ჩათვლიან, პაპის საზავო ნოტაში სულ არ იხსენება რუსეთი, თითქო ის არც კი ერიოს მებრძოლ სახელმწიფოებში. რითი უნდა აიხსნას სრული გაჩუმება პაპის რუსეთის შესახებ.

რუსეთი უკვე გამოვიდა დიდ სახელმწიფოთა მდგომარეობიდან, დღეს მისი საერთაშორისო წონა და ზომა ანგარიშში არ არის მისაღები, ამ მხრივ პაპის ნოტა პირველი სილაა, რომელიც ხვდება რუსეთს, ყოველი დღე თანდათანობით აკლებს რუსეთს საერთაშორისო პრესტიჟს, დღეს საქმე იქამდის მივიდა, რომ იხსენებენ სომხეთის ბედს და რუსეთი კი ავიწყდებათ.

მაგრამ რუსეთზე გაჩუმებას მეტი აზრი აქვს. ეჭვს გარეშეა პაპის შუამავლობას ზავის შესახებ ის რეალური მნიშვნელობა აქვს, რომ საფრანგეთს და ინგლისს გერმანეთი პირდება ხელშეუხებლობას და თავის საკომპენსაციოთ და ერთგვარ ომის დავლად იტოვებს რუსეთს.

თუ მხედველობაში მივიღებთ აგრეთვე გერმანეთის მთავარ შტაბის მოქმედებას რუსეთის ფრონტზე, შეტევის განახლებას და რუსეთის ჯარის უკან დახევას, მაშინ აშკარაა, რომ პაპის საზავო ნოტა არ არის უბრალო და უნაყოფო ქაღალდი, არამედ დიდი საერთაშორისო ამბებს უსწრებს წინ...

ჩინეთის გამოსვლა.

ევროპის მებრძოლ სახელმწიფოთა რიცხვს მიემატა კიდევ შორეულ აღმოსავლეთში ჩინეთის რესპუბლიკა, რომელმაც 4 აგვისტოს გამოუცხადა ომი გერმანეთს და ავსტრიას.

დღიდან ომის დაწყებისა ჩვენ მოწმე ვიყავით, რომ ერთი მეორეზე არღვევდენ ნეიტრალიტეტს სახელმწიფოები: ბოლგარია, რუმინია, შეერთებული შტატები, პორტუგალია, საბერძნეთი, უკანასკნელად წილი ჩინეთს ერგო. ამ სახელმწიფოთაგან ბულგარეთის გარდა ყველა გერმანულ ცენტრალ კოალიციას ებრძვის. ერთ დროს შეთანხმების სახელმწიფოთ დიდ გამარჯვებათ მიიჩნიეს ამერიკის გამოსვლა და მათდამი მიკედლება, მაგრამ ომის მსვლელობამ დაამტკიცა, რომ ამერიკას ოდნავადაც არ შეუცვლია ომის გარემოება, ამერიკა დღემდის რჩება მხოლოდ მაყურებლად უწინდელ მებრძოლებისა.

ეჭვს გარეშეა შეთანხმების სახელმწიფოები ჩინეთის გამოსვლასაც დიდ დიპლომატიურ გამარჯვებათ ჩათვლიან და არ დააყენებენ მოსალოდნელ დახმარების გაზვიადებას, მით უმეტეს, რომ ჩინეთი მაშინ გამოდის, როცა გერმანეთის მოწინააღმდეგენი დიდ კრიზისს განიცდიან.

მხედველობაში მისაღებია ის რომ ჩინეთი უკვე ის არ არის, რასაც ჩვეულებრივად ფიქრობენ იმაზე. ტრადიციული შეხედულებაა, რომ ჩინეთი კონსერვატორულ ობის ქსელში იხრჩობა, რომ დღევანდელი ევროპის კულტურა იმას არ შეხებია, მაგრამ ეს აზრი შემცდარია.

იაპონიასთან და ევროპასთან ომებმა ჩინეთი გამოაფხიზლა, დღევანდელი მისი სამხედრო შეიარაღება პარალელურად მისდევს იაპონიას და ევროპის სახელმწიფოებს. გერმანელმა ინსტრუქტორებმა ჩინეთშიც ჩაიტანეს გერმანული მილიტარიზმი და კრუპის ზარბაზნები. ჩინელებს საკმაოდ აქვთ მომარაგებული, ჩინეთშიც არსებობს კრუპის ნიმუშის ქარხნები და თუ იმასაც გაუწევთ ანგარიშს, რომ რიცხვით ჩინეთი ყველა სახელმწიფოს დატოვებს უკან, მაშინ აშკარაა, რომ შუაგული იმპერია საკმაო დიდ ძალას წარმოადგენს, და მისი მახვილი ომის სასწორზე დიდი წონის იქნება. საკითხავია... რითია გამოწვეული ჩინეთის შეიარაღებული გამოსვლა და ისიც გერმანეთის წინააღმდეგ? ჩინეთს უკანასკნელად ახასიათებდა გერმანოფილობა, როცა იაპონიამ გერმანეთს ომი გამოუცხადა ეს გრძნობა უფრო გაიზარდა, ამის გარდა გერმანეთის გამარჯვებამდის იმედი ისე არასდროს არ ყოფილა ახლოს სინამდვილესთან როგორც ეხლა.

მაშ რა უნდა ჩინეთს?

ეჭვს გარეშეა, როგორც ჩინეთს ისე ამერიკას თავიანთი საკუთარი საზრუნავი აქვთ. ეს სახელმწიფოები უყურებენ, როგორ შეიარაღდა თითქმის ყველა სახელმწიფო და ყველაზე უწინ მათი მოსისხლე მტერი იაპონია; ნეიტრალიტეტის დარღვევით და ომის გამოცხადებით ჩინეთი და ამერიკა ლეგალურად იხამენ იარაღს, რომ გაუტოლდენ იაპონიას, რომელმაც, თუმცა დიდი ხანია მოათავა თავისი ომი გერმანიასთან, მაინც განაგრძობს შეიარაღებას და თან დიდი მაშტაბით.

ამის გარდა ამ სახელმწიფოებს უნდათ, რომ მომავალ საზავო კონფერენციაზე, სადაც უკანასკნელი სამსჯავრო იქნება სახელმწიფოების, ქონდეთ ხმა, როგორც სრულ უფლებიან მონაწილეთ. ყველა ეს მოსაზრება აშკარად ნათელ ჰყოფს, რომ ჩინეთის გამოსვლაზე დიდ იმედებს არ უნდა ამყარებდნენ შეთანხმების სახელმწიფოები, რუსეთისთვის მით უფრო არ არის საიმედო ეს გამოსვლა, რადგან ყოველივე მოულოდნელი, ომისაგან გამოწვეული უბედურება და [illegible] შეუძლია შეიარაღებულ ჩინეთს სხვანაირად გამოიყვანოს...

ტ. ტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული პრესა

თბილისის ქალაქის საბჭო და ქართული ენა

გაზეთს „ალიონში" ვკითხულობთ:

„დასრულდა თბილისის თვითმართველობის არჩევნები. სხვა საქართველოს ქალაქებში თუ არ დასრულდა ჯერ, მოკლე ხანში მაინც ყველგან ახალი თვითმართველობანი იქნებიან. ამნაირათ მალე დაიწყება ქალაქთა ცხოვრებაში ახალი დემოკრატიულ საფუძველზე აშენებული მართვა-გამგეობა. აქამდის თუ ქალაქის თვითმართველობა საზოგადოთ მდიდრების ხელში იმყოფებოდა, ახლა იგი ხალხის წარმომადგენლების ხელში გადადის. მცხოვრებთა დიდმა უმრავლესობამ, რომელიც აქამდის უყურადღებოთ იყო ხოლმე დატოვებული და ქალაქის მამების მიერ ამუჩათ აგდებული, ახლა პირველი ადგილი უნდა დაიკავოს და მასმა სამართლიანმა მოთხოვნილებამ უნდა მკვიდრი ნიადაგი მოიპოვოს. სხვა უსაჭიროეს მოთხოვნილებათა შორის ახალმა ქალაქის გამგეობამ უნდა დააკმაყოფილოს ერთი უმთავრესი მოთხოვნილება დემოკრატიისა—ეს ის, რომ ლაპარაკი და საქმის წარმოება უნდა ხდებოდეს გასაგებ ენაზე, ე. ი. მშობლიურ ენაზე. ეს არის საერთო დემოკრატიული მოთხოვნილება. ასე უნდა მოხდეს ყველა ქართულ ქალაქებში. ეს ახლავე უნდა იქნეს განხორციელებული. დროა ქართულ ენას შევეჩვიოთ. დროა ჩვენი საქმეები ჩვენს ენაზე ვაწარმოვოთ! ამის საჭიროებას ყველაზე უფრო დემოკრატია გრძნობს. მართალია ძველმა ბიუროკრატიულმა წყობილებამ ისე გაგვათახსირა, ისე დაგვამუნჯა, რომ ჩვენი საკუთარი ენა დაგვავიწყებინა, მაგრამ ამას არ უნდა შევუშინდეთ, უნდა ახლავე დავიწყოთ ქართულ ენაზე ლაპარაკი, თორემ რასა ჰგავს ჩვენი საქმე! დროა ბოლო მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა ქართველი გლეხი იძულებული იყო „სწავლულ" კაცისთვის მიემართა არზის ან თხოვნის რუსულათ დაწერისათვის.

ახლა, როცა ქალაქის ცხოვრება ახალ წყობილების გზაზე უკვე შემდგარია, ამის განხორციელებაც ადვილი და სავალდებულოა. ხოლო ამ მხრივ ცუდათაა საქმე სოფლად. იქ ჯერ კიდევ ბევრ ალაგს ყველაფერი ძველ დონეზეა. იქ ჯერ კიდევ არ გადაუყენებიათ არც მოსამართლეები, არც სასამართლოს ბოქაულები და არც მომრიგებელი შუამავალნი და სხვა. ძველი კანცელიარული წესები არ გამქრალა. როცა რაიმე საჭიროება თხოულობს, სოფლელი იძულებულია ხშირად ისევ ძველი ბიუროკრატიული წესით იაროს. საჭიროა საქმის წარმოება სოფლებში ყველგან აუცილებლად ქართულ ენაზე სწარმოებდეს. ქართული ენა საქართველოში უნდა გაბატონდეს. ამას თხოულობს ხალხის და მუშის ინტერესები. ჩვენი ხალხი ახლავე უნდა იქმნეს დაკმაყოფილებული ამ მხრივ მაინც. მოსაცდელი და საყოყმანო აქ აღარაფერია".

* *

სოც. დემოკრატები და ავტოკეფალია.

გაზეთი „ერთობა" გამოეხმაურა საქართველოს ეკლესიის საკითხს და მთავრობის გამოცხადებულ უმაღლეს წესების შესახებ ამბობს:

„დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ განსაკუთრებული კანონი გამოსცა.

საეკლესიო ორგანიზაცია ქართულ ნიადაგზე იქნება აშენებული და საქმის წარმოება ქართულ ენაზე იქნება შემოღებული.

აქ საეკლესიო ანუ სარწმუნოების საკითხში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. იგი ჩვეულებრივ იქ დარჩენილია, იგი კვლავ სახელმწიფოებრივ სარწმუნოებათ არის გამოცხადებული და სამღვდელოების შენახვა. მათი ფინანსიური უზრუნველყოფა სახელმწიფოზეა დაკისრებული.

გაზეთის სურვილია, რომ სწორედ ახლა, როცა რუსეთის დემოკრატია ამ რევოლუციის ხანში—უძლიერეს რევოლუციონურ ორგანოებით არის აღჭურვილი, საჭირო იყო ეკლესიის სახელმწიფოსაგან განცალკევება.

აგრეთვე დემოკრატია მოითხოვს ეკლესიაზე ბიუროკრატიის უფლების გავლენის მოსპობას. არავითარი ბიუროკრატიული ოპეკა ქართულ ეკლესიაზე და მისის სახელმწიფოსაგან განცალკევება—აი ქართველი დემოკრატიის მიზანი.

* *

ხატისოვი და სომხის ბურჟუაზია.

„ჰორიზონტის" №-93 ნომერში მოთავსებულია ბ. მელიქ კარაკოზოვის ღია წერილი ა. ხატისოვის მიმართ. წერილი ეხება იმ სიტყვებს, რომელიც წარმოუთქვამს ა. ხატისოვს „დაშნაკცაკანელთა" სახელით 23 ივლისს ხელოსანთა კლუბში. ბ. ხატისოვს, სხვათა შორის უთქვამს: საჭიროა კლასთა ბრძოლის წარმოება მოპოვებულ თავისუფლებათა შესანარჩუნებლათ და იქვე მოუწოდებია საზოგადოება „სომეხ ბურჟუაზიის წინააღმდეგ საბრძოლველათ". ბ. ხატისოვის ამგვარი „ფერისცვალება" ბ. მელიქ-კარაკოზოვს ვერ გაუგია. ის გაკვირვებული კითხულობს—თუ ბ. ხატისოვი ამ ბოლო დროს „გასოციალისტდა"—მარტო სომეხ ბურჟუაზიასთან საბრძოლველათ რათ მოუწოდებსო. ბ. მ. კარაკოზოვი აღშფოთებული მიმართავს ბ. ხატისოვს: „თუ ამის მიზეზი თქვენი, როგორც თანამშრომლის, დაშნაკცაკანელთა სახმოსნო სიაში შეტანაა, ვფიქრობთ რომ თქვენ ჯერ დაურწმუნებელი წევრი ხართ სოციალისტურ დაწესებულებების.—მაშინ უფრო გაუგებარი რჩება მოწოდება „ბრძოლა სომეხთა ბურჟუაზიის წინააღმდეგ" იმ კაცის მხრივ, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლით, მოღვაწეობით და სამსახურით მოვალეა სწორეთ ამ სომეხ ბურჟუაზიის წინაშე."

ეტყობა, თვით სომხებიც თანდათან ხვდებიან ხატისოვის მნიშვნელობას. „ცვალებადობა" ადვილი ასახსნელია. ახლა სხვა სიო ბერავს.

ომი და ზავი

დეპეშები

რუსეთის ბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. მარიამობისთვის 10. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** ტუკუმის მიმართულებით მტერმა ჩვენები რაგაცემისა და კემმერნის რაიონიდან შლოცელის ტბისა და ფრანკენდორფისკენ გამოდევნა. არტილერია ძლიერ ცეცხლს აწარმოებდა. ბაბიტის ტბის სამხრეთ-დასავლეთით ხელჩართულ ბრძოლის შემდეგ განვდევნეთ გერმანელ მზვერავთა ძლიერი პარტია. მტრის არტილერია ამ რაიონში ძლიერ საარტილერიო ცეცხლს აწარმოებდა. არტილერია ჩვენს თხრილებს უშენდა. დაშავდა დივიზიის უფროსი გენერალ მაიორი კრეგლევსკი. მდ. კაკუჩ რაიონში მტრის მოწინავე ნაწილები დიდ მოქმედებას იჩენდნენ. ვოლინთან სოკოლის მიმართულებით, მტერმა მარიამობისთვის 9-ს შემოტევა დაიწყო. ზბორიშისა და ვიდუმკის რაიონში მტერი აქ ერთ ბათალიონ ჯარს ამოქმედებდა. მათ ზბორიშთან ჩვენი თხრილების დაჭერა შესძლეს; კონტრ-იერიშით მტერი მოვიგერიეთ.

რუმინეთის ფრონტი. იაზლოვეცის ჩრდილო-დასავლეთით გუშინ წინ ღამ მტერმა ჩვენს ასპარეზზე მიიტანა იერიში და ერთი სიმაღლეც დაიჭირა. ოკნინის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება. გუშინ მტერს გროზესტის ჩრდილოეთით, ფაბრიკ-დე-სტეკლერიისთან და სოვეჯას რაიონში მოჰქონდა იერიშები. ფოკშანის მიმართულებით, გერმანელებს წუხელ მონასტირა, გერეშის ფრონტზე მოჰქონდათ იერიშები.

კავკასიის ფრონტი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

მფრინავთა მოქმედება. რიგის სანაპიროებში ჩვენმა მფრინავმა გერმანელთა ჰიდროჰაეროპლანი ჩამოაგდო. ჰიდრო-ჰაეროპლანი ზღვაში ჩავარდა!

რუმინეთის ფრონტის ჯარის მდგომარეობა

პეტროგრადი. მარიამობისთვის 9. რუმინეთის ფრონტის კომისარი ტიზენგაუზენი ატყობინებს სამხედრო მინისტრს, რომ ჯარი კარგ გუნებაზეა, დისციპლინა და წესიერება მაგრდება; სამხედრო ბრძანებათა შეუსრულებლობა აღარ ყოფილა, დეზერტირთა რიცხვი აშკარად კლებულობს. კომისარიატის მიერ მუშაობის დაწყების დღიდანვე, ჯარის ორგანიზაციები განმტკიცდნენ, რადგანაც ხედავენ თავის უფლებათა დაცვას.

რუმინეთის ფრონტი

მოქმედი ჯარი. მარიამობისთვის 9. ფოკშანის მიდამოებში მცირე სროლაა. ოკნას მიმართულებით მტერი განაგრძობს სასტიკ საარტილერიო ბრძოლას. გენ. ავერესკუს ჯარი თავგამოდებით იცავს ყოველ ნაბიჯს, ბევრი ადგილი ხელიდან ხელში გადადის, მტერი საშინლად ნადგურდება. რუმინეთის მეფე აქ არის, თავის ჯარებს შორის; 6 მარიამობისთვის მტრის მძიმე არტილერიამ რამდენჯერმე ესროლა მეფის ადგილ-საყოფელს.

საფრანგეთის ბანაკის ცნობა.

პარიჟი. მარიამობისთვის 9. ოფიციალი. ფრონტის სხვა და სხვა უბნებში გერმანელები მთელი ღამე ამოქმედებდნენ არტილერიას. ჩვენებმა ყველგან შეინარჩუნეს ასპარეზები. მაასის მარცხენა მხარეზე მორტომისა და „304" სიმაღლის შუა გუშინ საღამოს გერმანელების გაცხარებული კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ.

პარიჟი. მარიამობისთვის 10. იანის ჩრდილოეთით, ბრესა და ლუპტენიზის უბნებში გერმანელების არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა. მაასის მარცხენა მხარეზე მორომონის ფერმის ჩრდილო-დასავლეთით ერთი უბანი ჩავიგდეთ ხელში და 17 ტყვეც წამოვიყვანეთ. მარიამობისთვის. 7-ს სულ 7.640 ტყვე ჩავიგდეთ ხელში, მათში 186 ოფიცერია. ნადავლი—24 მძიმე ზარბაზანი, 200 ტყვიის მფრქვეველი.

პარიჟი. მარიამობისთვის 9. ბრიისა და სერნის რაიონში საარტილერიო ბრძოლამ ცხარე ხასიათი მიიღო. ვერდენის ფრონტზე, განსაკუთრებით კი მაასის მარცხენა მხარეზე მტერი მთელი დღე ამოქმედებდა არტილერიას.

მფრინავთა მოქმედება. წუხელ გერმანელთა მფრინავებმა ქერარმერის რაიონში ჩამოყარეს ყუმბარები. ზარალი არ ყოფილა. დღეს გერმანელთა 6 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

ახლო აღმოსავლეთი. წუხელ ტრავენის მიმართულებით და მონასტირის სამხრეთით მტერი გვიტევდა. ჩვენი არტილერია მდ. ცერნის მოსახვევთან დიდ მოქმედებას იჩენდა.

ინგლისის ბანაკის ცნობა.

ლონდონი. მარიამობისთვის 10. გუშინ დილით იპრის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდი მოქმედება გამოვიჩინეთ. იპრ-მენენის რკინის გზის ორსავ მხარეს და აგრეთვე ლანგემარკისა და იპრ-რულერის რკინის გზის შუა დავიჭირეთ რამდენიმე ფერმა და ალაგი. ამ რაიონის მთელ ხაზზე გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს. ჩვენ ინვერნესის მარცხენა მხარეზე შევჩერდით. ჩრდილოეთით ჩვენ 2½ მილზე წინ წავიწიეთ, ხელთ ვიგდეთ 250 ტყვე—დანსის მიდამოებში—194 ტყვე.

მფრინავთა მოქმედება. ცხარე ბრძოლით ჩვენმა მფრინავებმა გერმანელთა 12 ჰაეროპლანი ჩამოაგდეს, დააზიანეს 5. ჩვენ 12 ჰაეროპლანი გვაკლია.

იტალიის ბანაკის ცნობა.

რომი. მარიამობისთვის 10. მთელ ფრონტზე განუწყვეტელი ბრძოლაა. გორიციის ჩრდილოეთით ბრძოლა რთულდება. სამხრეთის მიმართულებით განსაკუთრებით ყურადღებას კარსოსთან ბრძოლა იქცევს. მთელს ფრონტზე ჩვენი ჯარი ყოველივე სიძნელეს სძლევს.

რომი. მარიამობისთვის 10. დღეს კაპოვანოს ღელეში ჩვენმა მფრინავებმა მტრის ბანაკს აუტეხეს სროლა. ჩვენ ხელთ ვიგდეთ სულ 311 ოფიცერი, 13000-ზე მეტი ჯარისკაცი. გუშინ ტარენტინის ფრონტზე მტრის უმნიშვნელო იერიშები მოვიგერიეთ.

ბრძანება ფლოტისა და ჯარისადმი

პეტროგრადი. მარიამობისთვის 9. გიცხადებთ, რომ დროებითმა მთავრობამ მიითვისა წოდება „18 ივნისისა" და ამ სვე აკუთვნებს ყველა იმ არტილერიის ნაწილებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს 1917 წლის 18 მკათათვის შეტევით ბრძოლაში. სამხედრო და საზღვაო მინისტრი ა. კერენსკი.

იალქნიანის გემის „კამბრონის" დაღუპვა

პარიჟი. მარიამობისთვის 7. იალქნიანი გემი, „კამბრონი" დაღუპეს 120 მილის მანძილზე ნაპირიდან, მეზღვაურთაგან 21 გადარჩა.

ბრძოლა შპიონაჟის წინააღმდეგ

პეტროგრადი. მარიამობისთვის 9. მე-5 არმიის კომისარი იტყობინება, რომ შპიონაჟთან საბრძოლველად, წინადადება მიეცა ყველა ჯარების უფროსებს, შეამოწმონ პირადად პოლკებისა და დაწესებულებათა ყველა ჯარის კაცნი და მოხელენი. შემოწმება უნდა მოხდეს თვითეულ როტაში ცალკე.

რუს ტყვეების გამოპარვა

კოპენჰაგენი. მარიამობისთვის 8. 7 რუსი ტყვე, რომლებიც გერმანეთიდან გამოიპარნენ, მოვიდნენ კუნძულ ფიონიაზე თავიანთგანვე გაკეთებულ ტივით.

მტრის წყალქვეშას დაღუპვა

რომი. მარიამობისთვის 9. ადრიატიკულ ზღვაში ჰიდროპლანიდან ჩამოგდებული ყუმბარით დაიძირა მტრის წყალქვეშა.

გერმანელების ჰაეროპლანები ინგლისში

ცეპელინების პირველი ნაბიჯი.

ლონდონი. მარიამობისთვის 9. ოფიციალი. დედა-ქალაქის ჯარის უფროსი იუწყება: წუხელ იორკშის სანაპიროებზე მტრის რამდენიმე „ცეპელინი" გამოჩნდა. ერთ მათგანმა გომბერის შესართავთან რამდენიმე ყუმბარა ჩამოყარა და შემდეგ ზღვისკენ გაემართა, რადგან ჩვენმა სპეციალურ ზარბაზნებმა სროლა აუტეხეს. დაჭრილია ერთი კაცი. მატერიალური ზარალი უმნიშვნელოა.

ქალაქებზე თავდასხმა

ლონდონი მარიამობისთვის 9. ლონდონის ჯარის მთავარსარდალი იუწყება: დღეს დილის 10 საათზე რამსგეტთან მტრის 10 ჰაეროპლანი გამოჩნდა. ჩვენ ჰაერში მტყორცნელ ზარბაზნებით სროლა აუტეხეთ. ყუმბარები ჩამოყარეს: რამსგეტში და დუვრაში მოკლულია 11 დაჭრილია 33; დაზარალდა ჰოსპიტალი და რამდენიმე შენობა. ჩამოვაგდეთ მტრის 2 ჰაეროპლანი.

ინგლისელ ჰაეროპლანების დადევნება

ლონდონი მარიამობისთვის 10. ოფიციალი. საადმირალო იუწყება: ამირალ დუვრმა საზღვაო ავიატორების საჰაერო ბრძოლის შესახებ რაპორტი წარადგინა. ჰაეროპლანების ინგლისიდან გაბრუნებულ გერმანელთა ჰაეროპლანებს ჩვენი მფრინავები გამოეკიდნენ. ჩვენი 3 ჰაეროპლანი „გოტის" სახის 12 ჰაეროპლანს შეება და ზეებრბრუგომდის მისდია. მეორე რაზმი, რომელშიაც 10 ჰაეროპლანი მონაწილეობდა მედგრად ეკვეთა მტრის 25 ჰაეროპლანისაგან შემდგარ რაზმს. დავაზიანეთ გერმანელთა 5 ჰაეროპლანი. ჩვენი ჰაეროპლანები უვნებლად დაბრუნდნენ. დამატებითი ცნობებია, რომ „გოტის" სახის 2 ჰაეროპლანის გარდა საზღვაო მფრინავებს კიდევ ერთი ჰაეროპლანი ჩამოუგდიათ. ერთი ჩვენი საზღვაო მფრინავი, რომელიც მტრის დანარჩენ 7 ჰაეროპლანს მისდევდა, გადმოგვცემს, რომ მან ერთ აპარატს სამასი ტყვია ესროლა და ალბად ზედმყოფ მეტყვიამფრქვეველნი დახოცა, რადგან მათ ოც იარდის მანძილზედაც აღარ გვიპასუხესო.

რუსეთ-ავსტრიის ბრძოლის ველის რუკა



რევოლუცია

დეპეშები

საგუბერნიო კომისარების კრება

პეტროგრადი. მარიამ. 8. შინაგან საქმეთა მინისტრმა ავქსენტიევმა განაცხადა: კომისარები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები აღჭურვილნი უნდა იყვნენ სახელმწიფოებრიობისა და წესიერების ერთი იდეით, რაიცა საჭიროა განსამტკიცებლად რევოლუციის შენაძენთა. საჭიროა, რომ კომისარი იყოს მთავრობის ერთიანობისა და ხელმწიფების გამტარებელი ცხოვრებაში. მინისტრის ამხანაგმა ხიჟნიაკოვმა გამოაქვეყნა ახალი დებულებანი პროექტისა კომისართა შესახებ. საგუბერნიო და სამაზრო კომისარებს ევალება მხოლოდ ზედამხედველობა კანონიერ მოქმედებაზედ. საგუბერნიო სამმართველონი და საკრებულონი უნდა გაუქმდეს და მათი საქმეები და მოვალეობანი გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობათა საკულტურო-სამეურნეო ორგანოებს. ვიდრე ეს მოხდებოდეს, კომისარები პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივ გამგეობის მოქმედების კანონიერებაში და სისწორეში. საგამგებლო ყოველ განკარგულებას ძალა აქვს მხოლოდ მისგან ხელმოწერის შემდეგ.

სრულიად რუსეთის მესაპნეთა კრება

მოსკოვი მარ. 8. 12 მარიამობისთვს მოსკოვში განზრახულია სრულიად რუსეთის მესაპნეთა კრება. ფიქრობენ დააარსონ საზოგადოება სრულიად რუსეთის მესაპნეთა, რომ უზრუნველჰყონ საპნის ქარხნები მასალით და საწვავით.

რუსეთის პოლიტიკურ მოღვაწეთა თათბირი.

მოსკოვი. მარ. 8. მოსკოვის უნივერსიტეტში გაიხსნა 400 პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა თათბირი. დაესწრნენ როძიანკო, მილიუკოვი, შინგარევი, თ. შახოვსკოი, კონოვალოვი, მაკლაკოვი, შულგინი, ლვოვი, შჩეპკინი, ბუბლიკოვი, შიდლოვსკი და სხვ. ჩი. თავმჯდომარედ აირჩიეს როძიანკო. თ. ტრუბეცკოიმ წაიკითხა მოხსენება რუსეთის დღევანდელ ვითარებაზე და სთქვა, რომ მთავრობა უნდა იყოს ეროვნული და მთელს ხალხს ეყრდნობოდესო.

სტრუვემ ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოხსენებით აღნიშნა, რომ ხალხის მეურნეობის საქმეში უსწორო პოლიტიკა და მფლანგველობაა. ვიშნეგრადსკიმ ფულის კრიზისთან საბრძოლველი ზომები წამოაყენა. ბუბლიკოვმა ტრანსპორტის აწეწვა იმას მიაწერა რომ მისი აზრით, მთელი ყურადღება მმართველობის დემოკრატიზაციას და რკინის გზაზე მომუშავეთა ორგანიზაციას ჰქონდა მიქცეული. მოთათბირეთ კორნილოვს დეპეშა გაუგზავნეს, რომლითაც შეატყობინეს რომ ყოველ ცდის წამებას მის შესახებ მოღალატეობად სთვლის და ყაზახთა და გიორგის კავალერიის ყაზახთა ხმას უერთდება. ამ უკანასკნელთ კი გამოაქვეყნეს რეზოლუცია—რომლითაც კორნილოვისადმი სრულ მორჩილებას მოითხოვენ.

აგრარული საკითხი.

პეტროგრადი. მარ. 10. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა მომდევნოს მთელი რიგი სხდომებისა აგრარულ პოლიტიკის დაწვრილებით გარკვევას. 9 მარიამობისთვის მიწად-მოქმედების მინისტრმა გამოაქვეყნა პროექტი მთავარ სამიწო კომიტეტისა, რომლის უმთავრესი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ მიწის საქმის მოწესრიგება მიენდოს მხოლოდ ადგილობრივ სამიწო კომიტეტებს. პროექტმა წინააღმდეგობა გამოიწვია მინისტრებისაგან, რომლებიც ეკუთვნიან სახალხო თავისუფლების პარტიას და ამ სხდომაზედ მთავრობას არავითარი გარკვეული დადგენილება არ მიუღია. 10 მარიამობისთვის ჩერნოვმა წარმოადგინა დღ. მთავრობის სხდომაზედ პროექტი იმ წესებისა, რომლებმაც განკარგება უნდა შეიტანოს სამიწო საქმეში და რომლის თანახმად ყოველგვარი მიწა შეიძლება გადავიდეს ერთის ხელიდან მეორეში სამფლობელოდ, სამოსახმაროდ ანუ საგანკარგულებოდ, მაგრამ მხოლოდ იმ საშუალებებით, რომლებიც დადგენილი იქნება მომქმედი კანონებით. სამეურნეო მნიშვნელობის მიწების მოხმარების განკარგება ევალება სამიწო კომიტეტებს. თუ კომიტეტი ფიქრობს, რომ მემამულეს ანუ მოიჯარადრეს არ ძალუძთ თავის საშუალებით წესიერად დაამუშაონ მიწები, მემამულეს და მოიჯარადრეს ნება ეძლევათ დაიტოვონ მიწები, მაგრამ თავიანთ პასუხისმგებლობის ქვეშ. მიწის დაუმუშავებლობისათვის გადახდებათ იმოდენა ჯარიმა, რაც ეღირება მოსავალი. ის მიწები, რომელთ დამუშავება მათ პატრონთაგან ანუ მოიჯარადრეთაგან კომიტეტებს შეუძლებლად მიაჩნიათ და არა უზრუნველყოფილად, გადაეცემა მაზრის კომიტეტებს სხვებზე გადასაცემად გარკვეულად შედგენილი პირობით და დადგენილი წესების დაცვით. უქმდება აგრეთვე ყოველგვარი საიჯარო გადასახადი ნატურით. არსდება ფულით გადასახადი. მთავრობამ მოისმინა-რა პროექტი, მისი განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადასდვა და შეუდგა ტყეების დაცვისა და სატყეო პოლიტიკის განხილვას, რომლის დედა აზრი მდგომარეობს შემდეგში: სამიწო კომიტეტებს ეძლევა ახალი უფლებანი უზრუნველჰყონ მცხოვრებნი შეშით და საშენებელი მასალით. სატყეო პოლიტიკა მთავრობისა უნდა მდგომარეობდეს ტყეების სიმდიდრეთა გონიერ მოხმარებაში და სახელმწიფოსი და ხალხის უზრუნველ ყოფა შეშით. ზედმეტი ტყე უნდა გაიზიდოს საზღვარგარედ. დროებითმა მთავრობამ პროექტი მოიწონა.

დეპუტატების რიცხვი დამფუძნებელ კრებისათვის

პეტროგრადი. მარ. 10. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა შემდეგი რიცხვი დეპუტატების დამფუძნებელ კრებისთვის: ამიერ-კავკასიიდან 32, კიევის გუბერნიიდან 20, პოდოლისა 18, პერმისა 17, დონის ჯარისა, სამარისა და ეკატერინოსლავისა 16—16, ხარკოვისა, ხერსონისა, ტამბოვისა, ვიატკისა და ვორონეჟისა 15—15, ყუბანის, შავი ზღვის ოლქისა, ვოლოგდისა და ვიტებსკის გუბერნიებისა—7-7, ამურის ოლქისა, სემირეჩინსკისა და ზაბაიკალის, პსკოვის, კალუგის და ენისეის გუბერნიების—6 6, ურალისა და სამარკანდის ოლქებისა, ესტლიანდიისა და ირკუტსკის გუბერნ.—5—5, ტურგაის ოლქ., ლიფლიანდიის და კურლიანდიის გუბ. 4—4, იაკუტსკისა და კასპიის იქითა მხარის ოლქებისა, ოლონეცკისა და არხანგელის გუბერნიებისა—2—2, კამჩატკის ოლქისა, მაზრებისა ჩინეთ-აღმოსავლეთის რკინ. გზ., ორდანსკისა და ამუდარისა—1—1.

ეროვნული საკითხი

ფინლიანდია და რუსეთი

სენატის წევრთა თათბირი.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 9. გენერალ-გუბერნატორმა სენატის კრიზისის გამო, თათბირი იქონია სენატის ყველა წევრებთან. გამოირკვა, რომ ახალ სენატის შედგენა შეუძლებელია ცალკე პარტიებისათვის. თათბირმა გადასწყვიტა: ძველი სენატი მოქმედებაში დარჩეს იმ კანონისამებრ, რომლის ძალით ახალ სენატის შედგენამდე ძველი—თანამდებობას თავს არ უნდა ანებებდესო. სოციალისტების გასვლის შემდეგ სენატში ბურჟუაზიულ პარტიების 6 წარმომადგენელი და დარჩა. ისინი მიმდინარე საქმეებს გაუძღვებიან. სენატს თანდათან შეავსებენ. განზრახულია აირჩიონ 3 თუ 4 სახელმწიფო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის სოციალისტი. ახლად შემდგარი სენატი ახალ სეიმამდის იმოქმედებს. სენატის კრიზისი დასრულებულად უნდა ჩაითვალოს.

შრომის დღესასწაული.

ჰელსინგფორსი. მარიამობისთვის 9. ცენტრალი კომიტეტი ფინლიანდიის ს.-დ. პარტიისა 13 მარიამობისთვეს ჰმართავს შრომის დღესასწაულს. დღესასწაულში მონაწილეობისათვის კომიტეტი მოუწოდებს სრულიად მშრომელ ხალხს.

უკრაინა და რუსეთი

პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საბჭოს მოხსენება.

კიევი. მარიამობისთვის 9. პოლიტეხნიკუმის ინსტიტუტის საბჭო თავის მოხსენებაში დროებითი მთავრობისადმი ამტკიცებს, რომ მოძრაობა ზერელეა და სიმტკიცე არა აქვს მასაში. აკლია აგრეთვე საკულტურო, საეკონომიო და საპოლიტიკო პირობები, რომლებიც საჭიროა ახალი სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნისათვის.

უკანასკნელი დეპეშები

რუსეთის ს. ხელმწიფო ვალი 1917 წ. თიბათვის პირველისათვის ორმოც და ერთი მილიარდი ოთხას ოცდა თექვსმეტი მილიონი უდრიდა. 1914 წელს კი—რვა მილიარდი რვაას ათი მილიონი მანეთი.

—

რომის პაპს განუზრახავს ახალ წინადადებით მიმართოს მებრძოლ სახელმწიფოებს. წინადადება შეეხება საზავო მოლაპარაკების საკითხს საბოლოოდ გადაწყვეტამდე დროებით შერიგებას.

—

მოსკოვის გაზეთების ცნობით, დამფუძნებელ კრების არჩევნები ღვინობისთვის 12 თვისაა დანიშნული—მოწვევა ღვინობისთვის 28-თვის.

—

მოსკოვის პროფესიული კავშირები სახელმწიფო თათბირის დღეს გაფიცვას აცხადებენ.

ქრონიკა

თბილისი

◆ **კავკასიის 163 მსროლელთა პოლკი.** კავკასიის 163 მსროლელთა პოლკმა, რომელიც ამ ბოლო დროს ნავთლუღში იყო დაბანაკებული, ბრძანება მიიღო ფრონტზე წასვლისა. ამის შესახებ ჯარის კაცებში მოხდა ბჭობა და დადგენილ იქმნა ფრონტზე წასვლაზე უარი ეთქვათ.. ჯარის კაცების მიერ ბრძანება დარღვეულ იქნა. ამის შესახებ მოხდა სწრაფი ბჭობა იმიერ კავკასიის საბჭოსი და დადგენილ იქნა 163 მსროლელთა პოლკი დაიშალოს, ხოლო დამნაშავენი პასუხის გებაში იქნან მიცემულნი.

◆ **მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება.** თბილისში ამ მოკლე ხანში გაიხსნება მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება. ბანკის დირექტორათ დანიშნულია კ. კანდელაკი.

◆ **სატეხნიკო კურსები.** იმიერ კავკასიის ინჟინერთა და ტეხნიკოსთა საბჭოს კავშირის თაოსნობით ახლო მომავალში თბილისში იხსნება მოსამზადებელი კურსები გზათა და აღმშენებელ ტეხნიკოსთა ხარისხის მისაღებად. ლექტორებად მიწვეულნი არიან შემდეგი პირნი: გზათა ინჟ. გვარამაძე (ხიდები), სამოქალაქო ინჟ. ბორისოგლებსკი (არხიტ.) გზათა ინჟ. შერმაზანოვი (გეოდეზია), ინჟინერ-ალმშ. პუსტრიაკოვი (მეხანიკი), სამოქ. ინჟ. კოვალსკი (ხარჯთ-აღრიცხვა, ანგარიში და ბუხგალტერია) და გზათა ინჟ. ვასილიევი (რკინის გზები).

◆ **ქართველ მწერალთა ყრილობა.** აგარაკიდან დაბრუნდა ქართველ მწერალთა ყრილობის მომწვევი კომისიის თავმჯდომარე პოეტი კ. მაყაშვილი. კომისია განაგრძობს მუშაობას და აგვისტოს დამლევამდე მოაგვარებს საქმეს. მოკლე დროში იქნება გამოცხადებული ყრილობის წეს-რიგი, წასაკითხავად დამზადებული მოხსენებების სახელები და აგრეთვე დღე, როცა ყრილობა იქნება დანიშნული.

◆ **სურსათის მოტანა.** მარიამობისთვის 10 სადგურ თბილისზე მოვიდა 2 ვაგონი ფქვილი და 1 ვაგონი შაქარი, ხოლო მარიამობისთვის 11—5 ვაგონი ფქვილი და 2 ვაგონი შაქარი.

◆ **ნ. ელიავამ სასურსათო კომიტეტს თავი დაანება.** გუბერნიის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. ზ. ელიავამ თანამდებობას თავი დაანება. გასვლას იმითი ამართლებს, რომ მისი ქალაქის თავად არჩევის შემდეგ მას დრო აღარ აქვს. მის მაგიერ არჩეულ იქმნა ბ-ნი მ. კახიანი.

◆ **მომხმარებელ საზ. „ალორძინების“ წლიური კრება.** დღეს, მარიამობისთვის 13-ს, სახალხო სახლში დილის 10 საათზე მოხდება წლიური კრება მომხმარებელ საზოგადოების „ალორძინებისა“. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები არის შეტანილი:—მოხსენება სარევიზიო კომისიაზე; გასული წლის ანგარიში; გამგეობის არჩევნები.

◆ **გაფიცვის შეწყვეტა.** მზარეულთა გაფიცვები შეწყდა მუშათა სექციის ბრძანებით. მუშათა სექციამ მზარეულების თხოვნა უკანონოთ სცნო და ხელფასი იგივ ძველი დატოვა.

◆ **სეირნობა-კონცერტი.** დღეს ვერის ბაღში რაჭა-ლეჩხუმის სასარგებლოთ გაიმართება დიდი სეირნობა-კონცერტი.

კავკასია

◆ **სტიუარტის კონცესია.** როგორც ვიცით, რამდენიმე ხნის წინად, აღძრული იყო საკითხი ლიკვიდაციის შესახებ ო. გ. სტიუარტის კონცესიისა. რომელიც მიიღო მან ძველი რეჟიმის დროს და რომლის ძალითაც მას სხვა და სხვა ჰიდრავლიკური საქმეები უნდა მოეწყო ჩრდილო და იმიერ კავკასიაში. ამ ჟამად იმიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტისაგან არჩეულია კომისია, რომელსაც აქვს მინდობილი დაწვრილებით გამოიკვლიოს ამ კონცესიის სინამდვილე.

◆ **ეპ. კირიონის დათხოვნა.** უწმ. სინოდმა, თანახმად თხოვნისა, გაანთავისუფლა ყოვლად სამღვდელო კირიონი, ეპისკოპოსი ვიტებსკისა და პოლოცკისა, მის თანამდებობიდან.

ქუთაისი.

◆ **პასუხისგებაში მიცემა.** მილიციის უფროსმა პარუჩიკმა, ივ. ძღენტმა, პასუხისგებაში მისცა ჯ. ჯორჯიკია, აკაკი ფიდავა და ექიმი ჩხენკელის მეუღლე. ამ პირთ უკვე შედგენილი ოქმი მილიციისა ბრალსა სდებს მილიციის წინააღმდეგ აგიტაციის გაწევისა და მილიციის უფროსისთვის ძველ რეჟიმის წარმომადგენლის სახელის წოდებისა. აგრეთვე პასუხისგებაში მისცეს სტ. აბაშიძე, რომელიც ტროტუარზე ველოსიპედით მიდიოდა, დაეჯახა ბეთანოვის ქალს და წააქცია. აბაშიძეს შენიშვნა მისცეს, მაგრამ მან შენიშვნა იუკადრისა და შემნიშვნელს ხელით შეურაცყოფა მოუნდომა. ამ დროს მასთან მივიდა მილიციის უფროსი და წესიერებისკენ მოუწოდა. აბაშიძემ მილიციის უფროსს უპასუხა, რომ იგი მას (ძღენტს) დააპატიმრებს სოც.-რევ. ჯარის დახმარებით და კიდეც დაუძახა გზით მომავალ მე-110 პოლკის ჯარისკაცებს, რომ დაეპყრათ მილიციის უფროსი.

პროვინცია.

◆ **არჩევნები დამფუძნებელი კრებისათვის თიანეთის და ახალციხის მაზრები.** დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის სახალხო აღწერა თიანეთის და ახალციხის მაზრებში დაიწყო. საქმის გასაადვილებლად თიანეთის მაზრა დაიყო 33 საარჩევნო უბნად, ხოლო ახალციხის 37 საარჩევნო უბნად.

ქართული ეკლესიის წინასწარი თათბირი

გუშინ ქალთა ეპარქიალ სასწავლებლის შენობაში გაიხსნა ქართული ეკლესიის წინასწარი თათბირი. თათბირის გახსნის წინ გადახდილ იქნა პარაკლისი ქართულ ეკლესიის მოსაყდრე ლეონიდის მიერ.

პარაკლისის შემდეგ ლეონიდემ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას და განმარტა თათბირის მნიშვნელობა. შემდეგ სასწავლებლის დიდ დარბაზში გახსნა თათბირი. აქაც სთქვა სიტყვა ლეონიდემ, და საზოგადოებას მოუწოდა პრეზიდიუმის არჩევა.

პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები:

თავმჯდომარედ კათოლიკოსი მოსაყდრე ლეონიდე; პრეზიდიუმის დანარჩენ წევრებად ეპისკოპოზი ანტონი; დეკანოზი ამბროსი; დეკანოზი თალაკვაძე; დეკანოზი კეკელიძე; მდივნებად—მღვდელი გამრეკელი, ივ. ბერიაშვილი და ჯოხტაბერიძე.

ამ თათბირზე მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი:

1) მოხსენება ქართულ ეკლესიის დროებითი მმართველობისა—მისივე მოქმედების შესახებ, დაწყებული 12 მარტიდან დღემდე.

2) ქართული ეკლესიის დროებით მმართველობის უფლებაზე.

3) დამოკიდებულება რუსთ ეკლესიასთან.

4) მოხსენება ქართული ეკლესიის ორგანიზაციის შესახებ.

5) მიმდინარე მომენტი და ეკლესია.

6) სასულიერო სასწავლებლების საკითხი.

7) კერძო თათბირი და ბჭობანი კათოლიკოსის არჩევნების შესახებ.

თბილისის ახალი საბჭო

სხდომას ხსნის საბჭოს თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი 9 საათზე. ხმოსნებიდან ერთი მესამედიც არ გამოცხადებულა, რის გამოც სხდომას მეტის-მეტი მკრთალი ელფერი სდევს.

დაშნაკცაკანების ფრაქციიდან არც ერთი წარმომადგენელი არა სჩანს.

ე. გეგეჭკორი. დროის უქონლობის გამო წუხანდელი სხდომის ჟურნალი არ არის დამზადებული, ამიტომ ის ვერ წარედგინება დღეს საბჭოს დასამტკიცებლად.

ფ. მახარაძე (ბოლშევიკი). დღეს ხმოსნებს არ მისვლიათ მოწვევის ბარათები, რასაც უნდა მიეწეროს, რომ დღევანდელ სხდომაზე მრავალი ხმოსანი არ მოსულა.

ე. გეგეჭკორი. ვინაიდან წუხანდელი სხდომა ღამის ორ საათზე დამთავრდა, ამიტომ შეუძლებელი შეიქნა ბარათების დამზადება. ამასთანავე იმითაც ხელმძღვანელობდით, რომ წუხელი თავის დროზე გამოცხადებულ იქმნა, რომ სხდომა დღეს შესდგებოდა.

მ. ცხაკაია. ბევრ ხმოსანს სხდომის დამთავრებისათვის არ მოუცდია და უეჭველია მათ მოწვევის ბარათები უნდა მისვლოდათ, ალბად ისინიც ელოდენ მათ.

ე. გეგეჭკორი. კვლავ ვაცხადებთ, რომ შეუძლებელი შეიქმნა ბარათების დამზადება, მდივანიც ხომ ადამიანია, მას არ შეეძლო დაეგზავნა ბარათები, ამის გამო მე მდივანმა თავის დროზე გამაფრთხილა... მაგრამ თუ დამტკიცდება, რომ თუნდ ერთი ხმოსანი არ მოსულა მისთვის, რომ ბარათი არ მიუღია, მაშინ სხდომა უკანონოა და უნდა გადაიდოს.

ნ. რამიშვილი. კრება კანონიერად ჩაითვალოს, ხოლო რადგან მრავალი არ არის, ამიტომ ქალაქის გამგეობის შემადგენლობის წევრთა არჩევნებს ნუ მოვახდენთ და მის მაგიერ სარეკომენდაციო კომისია ავირჩიოთ.

გ. გვაზავა. თუ სხდომა უკანონოა, მაშინ სრულებით უნდა გადაიდოს, ხოლო თუ კანონიერად ითვლება, მაშინ გაუგებარი ხდება დღიურ წესრიგის შეცვლა.

ალ. ლომთათიძე. სასურველია წვრილ საკითხებზე ვიქონიოთ მსჯელობა.

ჰ. აზატიანი აცხადებს, რომ დაშნაკცაკანების ფრაქცია მოსულია და ბჭობაში მონაწილეობას მიიღებსო.

დაშნაკცაკანები შემოდიან და თავიანთ სკამებისკენ მიდიან.

ე. გეგეჭკორი. კამათი მარტო დაშნაკცაკანებს არ ეხებოდათ—მხედველობაში ყველა მისაღებია.

ამ უმარილო საგანზე კამათი მეტის მეტად მოსაწყენი ხდება. ამიტომ წინადადება შემოაქვთ კამათი მოისპოს და კენჭი ეყაროს—სხდომა კანონიერი არის თუ არა.

ეს წინადადება მიღებულ იქნა, კენჭის ყრა მოხდა და უმრავლესობის მიერ სხდომა კანონიერად ჩაირიცხა.

ნ. რამიშვილი კვლავ მოითხოვს დღის წესრიგის შეცვლას.

ათაბეგოვი. არავითარი საჭიროება არ არის ამოვირჩიოთ სარეკომენდაციო კომისია. ეს რეკომენდაცია მხოლოდ ძველი რეჟიმის დროს იყო აუცილებელი.

ალ. ხატისიანი. სარეკომენდაციო კომისიის არჩევას ტეხნიკური უპირატესობა აქვს.

ალ. ლომთათიძე ეთანხმება ხატისიანს და წინააღმდეგია ათაბეგოვისა.

ამის შესახებაც სწყდება კამათი და მოხდა კენჭის ყრა უმრავლესობის მხრივ დამტკიცდა, რომ სასურველია არჩეულ იქმნას სარეკომენდაციო კომისია.

ჯერი მიდგა სარეკომენდაციო კომისიის შემადგენლობაზე.

ნ. რამიშვილი მოითხოვს შემდეგს შემადგენლობას:— ს.-დემოკრატებიდან 4, დაშნაკცაკანებიდან და ს.-რევოლიუციონერებიდან ორ-ორი და დანარჩენ პარტიიდან თითო თითო.

წინადადება მიღებულ იქმნა.

ს.-დემოკრატებმა შემდეგ კანდიდატები წამოაყენეს: ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, პოპოვი და კარაჯიანი.

ბოლშევიკებმა—შავერდოვი.

ესერებმა—თედიევი და მესხი.

დაშნაკცაკანებმა—სტეპანიანი და აზარიანი.

მუსულმანებმა—ამერბეგოვი.

ეროვნულ-დემოკრატებმა—გ. ქურული.

ყველა ეს კანდიდატები უდავოთ მიღებულ იქმნა და სხდომა ამით დამთავრდა.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მარიამობისთვის 14.

მ. ხარხელი.

სასულიერო სასწავლებლებში

სწავლა სასულიერო სასწავლებლებში

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ 10 აგვისტოს კრებაზე იქონია მსჯელობა სასულიერო სასწავლებელთა (სემინარიებისა, საეპარქიო და სასულიერო სასწავლებლების) შესახებ და დაადგინა: ამ სასწავლებლებში სწავლის დაწყება გადაიდოს მიმდინარე წლის 1-ელ ოქტომბრამდე, ვიდრე საბოლოოდ გამოირკვეოდეს ამ სასწავლებელთა უფლებრივი და ნივთიერი მდგომარეობა სრულიად საქართველოს საეკლესიო კრებასა და გამიჯნელ კომისიაში. მმართველობას იმედი აქვს რომ იმ დრომდე გამოირკვევა ისიც, თუ რა საფუძველზე მოხდება ამ სასწავლებლებში სამოსწავლო წლის დაწყება და სწავლის ნაციონალიზაცია.

სასულიერო სკოლების ქართულება. ეკლესიის დროებითი მართველობამ დაადგინა მომავალ სამოსწავლო წლიდან გაქართულდეს ყველა სასულიერო სასწავლებლები, რომელნიც ქართული ეკლესიის სფეროში იმყოფებიან. აგრეთვე დადგენილია, რომ სწავლა ამ სასწავლებლებში დაიწყონ ოქტომბრის 20 დან.

ამის შესახებ ქართული ეკლესიის დროებითმა მთავრობამ შესაფერი განმარტება წარუდგინა დროებით მთავრობას.

გამოცდები თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში.

როგორც ამ სასწავლებლის საპედაგოგიო საბჭო აცხადებს, **გადასასვლელი გამოცდები** თბილისის საეპარქიო სასწავლებელში წელს მოხდება 22—24 აგვისტოს და ამ დროისათვის უნდა გამოცხადდნენ სასწავლებელში მხოლოდ ის მოწაფეები, რომელთაც დამატებითი (გადასასვლელი) ეკზამენები აქვსთ დანიშნული. რაც შეეხება შეცადინეობის დაწყებასა და მისაღებ ეგზამენებს,—ამათი დრო ცალკე იქნება გამოცხადებული საქართველოს ეკლესიის დროებითის მმართველობის დადგენილების თანახმად.

სავეტერინარო საქმე

9 აგვისტოს სხდომაზე თბილისის გუბერნიის სავეტერინარო საბჭომ საქონლის ჭირის საბრძოლველად ზომების მისაღებად დაადგინა შემდეგი:

1. სავეტერინარო მოქმედების გასაძლიერებლად კახეთის რაიონში ე. ი. თელავის, სიღნაღის და თიანეთის მაზრებში კიდევ გაიგზავნოს ერთი ვეტერინარი და ერთი მისი თანაშემწე.

2. დაუყონებლივ გაგზავნილ იქმნას შრატი (წამალი) საქონლის ასაცრელად გორის, სიღნაღის და თელავის მაზრებში.

3. ვინაიდგან თელავის მაზრაში მოქმედ ვეტერინარების ცნობებიდან ირკვევა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი, იქ, სადაც საქონლის ჭირი მძვინვარებს, არ იცავენ სათანადო კარანტინს, გადმოყავთ და გადაყავთ საქონელი სხვა რაიონებში, რაც უწყობს ხელს ჭირის გავრცელებას და საქონლის განადგურებას, ყველა ამის თავიდგან ასაცილებლად, ეთხოვოს თელავის მაზრის კომისარს მიიღოს სათანადო ზომები და თვით მცხოვრებთ მიემართოს დარიგებით, რათა იქმნას სათანადოთ დაცული კარანტინები, რის შესრულება საყურადღებო და დიდ-მნიშვნელოვანია ჭირის თავის დროზე ჩასაქრობად.

4. ვინაიდგან საქონლის ჭირი აღმოჩნდა თბილისის გუბერნიის განაპირა მიდამოებში, რომელნიც საზღვრავენ თერგის და დაღესტნის ოლქებს, ეცნობოს ამ ოლქების სავეტერინარო ზედამხედველებს, რომ მიიღონ თავიანთ მხრით ზომები საქონლის ჭირის ასაცილებლად.

5. თბილისის გუბერნიის საჭიროებისათვის ეხლავ მიღებულ იქმნეს ზომები შრატის შესაძენად, საიდგანაც ჯერ-არს.

თბილისის გუბერნიის სავეტერინარო საბჭოს დავალებით.

წევრი—ნესტორ სხუდუხია.

გენერალი ბარათოვი.

გენერალ ბარათოვმა დიდი სახელი და პატივისცემა დაიმსახურა სპარსეთის მცხოვრებლებში როგორც კარგმა დამსახურებულმა მხედარმა და გონიერმა დიპლომატმა, რომელმაც ზედმიწევნით იცის აღმოსავლეთის მსოფლმხედველობა და ზნე-ჩვეულებანი. ეს იყო მიზეზი, რომ, როცა 29 მკათათვეს, ბარათოვი ჩამოვიდა ბაქოდან ენზელში, იგი დიდის ამბით მიიღეს მცხოვრებლებმა და ჯარმა. თავის სიტყვაში ენზელის გარნიზონისადმი, ბარათოვმა გაატარა ცნობილი ლოზუნგი—„შეტევა და ომის მიყვანა გამარჯვებამდე. ჯარი აღტაცებულის „ურას“ ძახილით მიეგება სარდლის სიტყვას, მაგრამ, სამწუხაროდ, როცა ბარათოვი ის იყო ყაზვინიდამ ხამადანს ჩამოვიდა, ჯარმა საშინელი რუსული „პოგრომი“ მოახდინა ყაზვინში, არიან მოკლულიც.

დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის

დროებით მთავრობის დადგენილება

თავი IV.

კანდიდატების სიები.

42. დამფუძნებელ კრების არჩევნები მოხდება ხმის მიცემით ერთ-ერთ წარდგენილ კანდიდატების სიაზე.

43. კანდიდატების სიები უნდა განეცხადოს დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საოლქო კომისიას არჩევნებამდის ოცდა-ათი დღით მაინც წინ. სიებს ამომრჩეველთა ჯგუფები წარადგენენ.

44. თვითეულ საკანდიდატო სიას უნდა ეწეროს საკუთარი ხელი 100 კაცზე არა ნაკლებისაგან, რომელთაც ხმა აქვთ იმ ოლქის არჩევნებში, სადაც არჩევნები ხდება. სიაში უნდა აღნიშნული იყოს გვარი, სახელი, მამის სახელი და ბინა თვითეულ წამოყენებულ კანდიდატისა. სიასთან ერთად უნდა წარდგენილ იქმნას განცხადება ყველა კანდიდატებისა, რომ ისინი თანახმანი არიან ამ ოლქში ამა და ამ სიით კენჭი იყარონ. სიაზე შეიძლება აღინიშნოს აგრეთვე მის წარმდგენელ ორგანიზაციის სახელი.

45. საკანდიდატო სიის წარმდგენელ ჯგუფმა უნდა უჩვენოს თავისი წარმომადგენელი, რომელიც კავშირს იქონიებს დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საგანგებო კომისიასთან და რომელიც კომისიაშივე მიიღებს მონაწილეობას. თუ წარმომადგენელი არ არის ნაჩვენები, მაშინ განცხადების პირველად ხელის მომწერი ჩაითვლება წარმომადგენლად. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ საოლქო კომისიისაგან ხაზში ცნობების მისაღებად ჯგუფის წარმომადგენელმა უნდა აცნობოს კომისიას თავისი მისამართი იმ ქალაქში, სადაც კომისია იმყოფება. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ცნობები წარმომადგენლისადმი გაგზავნილად ჩაითვლება, რაკი ეს ცნობები კომისიის სადგომში იქნება გამოკრული. ამას გარდა, ამომრჩეველთა ჯგუფმა, თუ მას სურს, რომ მისი წარმომადგენლები დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო, საქალაქო და სასოფლო კომისიების შემადგენლობაში იყვნენ შეტანილნი,—უნდა აღნიშნოს, თუ რომელ კომისიაში ვისი გაყვანა სურს.

46. თვითეულ ამომრჩეველს მხოლოდ ერთ საკანდიდატო სიაზე შეუძლიან ხელის მოწერა. იმ შემთხვევაში, თუ მას რამდენჯერმე უწერია ხელი—მისი ხელის მოწერა ნამდვილად მხოლოდ საარჩევნო კომისიაში პირველად მიღებულ სიაზე ჩაითვლება.

47. სიით წარდგენილ კანდიდატების რიცხვი შეიძლება დამფუძნებელ კრებისათვის ამა თუ იმ ოლქში ასარჩევ წევრთა რაოდენობაზე ნაკლებიც იყოს, ხოლო რაოდენობას იგი ნახევარზე მეტით კი აღარ უნდა აღემატებოდეს.

48. ერთ და იმავე კანდიდატის წამოყენება შეიძლება რამდენიმე ოლქში, მხოლოდ არა 5-ზე მეტგან.

49. ერთ და იმავე კანდიდატის ჩაწერა ერთსა და იმავე საარჩევნო ოლქის სხვა და სხვა სიებში არ შეიძლება.

50. დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი საოლქო კომისია საკანდიდატო სიის მიღებაზე ბარათს მისცემს. ბარათში აღინიშნება თვე, დღე და საათი სიის მიღებისა.

51. იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილი საკანდიდატო სია არ აკმაყოფილებს 44 და 46—49 მუხლების მოთხოვნილებას დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი საოლქო კომისია ამას სამი დღის განმავლობაში აცნობებს ჯგუფის წარმომადგენელს. განცხადებანი ხსენებულ ნაკლულოვანების გამოსასწორებლად უნდა წარდგენილ იქმნას არჩევნების 24 დღით წინ.

52. იმ წარდგენილ საკანდიდატო სიებს, რომლებიც მე-44 46—49 მუხლებში აღნიშნულ პირობებს მთლად აკმაყოფილებენ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარი საოლქო კომისია მიღების კვალობაზე დანომრავს. ამ ნუმერაციით და აგრეთვე ორგანიზაციების სახელით, თუ კი აქვთ წარწერა, საკანდიდატო სიები გამოიკვრება კომისიის სადგომში არა უგვიანეს 23 დღისა არჩევნებამდის. და შემდეგ დაუყოვნებლივ ეცნობებათ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ სამაზრო, საქალაქო კომისიებს ქალაქის და სოფლის გამგეობათ და სოფლის საზოგადოებათა გამგეობათ და აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიებს. სიები საყოველთაოდაც იქნება გამოქვეყნებული.

53. საკანდიდატო სიების წარმდგენ ჯგუფებს, დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის შემდგარ კომისიაში სიების შესაერთებლად განცხადების წარდგენა შეუძლიანთ არა უგვიანეს ხუთმეტის დღისა არჩევნებამდის. განცხადებას ხელს უნდა აწერდნენ ყველა შეერთებულ ჯგუფების წარმომადგენლები. სიების შეერთებას კომისია საყოველთაოდ გამოაცხადებს სიების მიღების მეორე დღესვე.

54. ერთი და იმავე სიის სხვა და სხვა სიებთან შეერთება არ შეიძლება.

ხელს აწერენ: მინისტრ თავმჯდომარე ა. კერენსკი.

იუსტიციის მინისტრი ი. ეფრემოვი.

1917 წ. მკათათვის 20.

მიწის საკითხი

ეს უმთავრესი უდიდესი საკითხი—მიწის საკითხია. ყველამ კარგად ვიცით, რომ უმრავლესობა ჩვენში კერძო მესაკუთრეა. თავადს, გლეხს, აზნაურს, ყველას აქვს თავისი მიწა, ადგილი, მამული, მით უმეტეს ჩვენ მუშა-გლეხს, რომელსაც ტანჯვით-წვალებით შეუძენია რომელიმე ადგილი, ძლივ ძლივობით გამხდარა კერძო მესაკუთრე და ამ საკუთრებას ლოლიობს, მას დაჰხარის და ზედ ამოსდის სული. თუ ისეთი სოციალიზაცია მოჰხდება მიწისა, ან ისეთი დადგენილება განხორციელდა, როგორიც ეს დაადგინეს კავკასიის ჯარის დელეგატთა ყრილობაზე, მაშინ ჩვენ გლეხს რომ თოფი დასცეთ ის ურჩევნია, ვიდრე მამულს, თავის საკუთრებას, ნაშრომს-ნაამაგარს ჩამოაშოროთ. ჩვენი გლეხკაცისათვის მისი მამული, პატარა ადგილი, პატარა საკუთრება—ყველაფერია. მისი სიცოცხლე და სიკვდილიც მასში გამოიხატება. იგი ამჯობინებს ერთ დღეს მოკვდეს, ვიდრე თავისი საკუთრება დაჰკარგოს.

მიწა, სადაც გლეხს თავისი ოფლი, თავისი სისხლი ჩაუღვრია, რომელსაც ისე უვლიდა, როგორც საკუთარ შვილს, ზედ დაჰკანკალებდა და თავის ხუთ თითსავით ჰპატრონობდა, იმ ადგილს, იმ მამულს არასოდეს არ დასთმობს გლეხი. ჩვენი გლეხი—როდია პროლეტარიატი! იგი კერძო მესაკუთრეა.

მაშასადამე რაც რუსის გლეხისათვის ხელსაყრელია და სასარგებლო—ის ქართველ გლეხისთვის ხელუყრელი და უსარგებლოა. ნამდვილი პროლეტარიატი—ეს რუსის გლეხია. უმრავლესობას არ გააჩნია საკუთრება, არა აქვს ნამდვილი ბინა-ადგილი. მისთვის სულ ერთი იქნება თუ დღეს აქ შეამუშავებს იჯარით აღებულ მიწას, ხვალ კი იქ! რუსის გლეხს ოღონდ ამ მიწამ სარგებლობა მოუტანოს, გამოჰკვებოს იგი და მისთვის დანარჩენი სულ ერთი იქნება. ქართველ გლეხისთვის კი არ იქნება სულ ერთი. მისი ცხოვრება სულ სხვანაირია. სულ სხვანაირად უყურებს თავის ჭირნახულს, თავის ადგილ-მამულს. ქართველი გლეხი მეტად მჭიდროთ არის დაკავშირებული თავის ადგილზე, თავის მამულზე. მას უყვარს პატრიარქიული ცხოვრება, მყუდროება. იგი ვერ დასთმობს იმ ადგილს სადაც დაბადებულა, სადაც აღზრდილა, სადაც მოუნათლიათ, სადაც თავისი ჭირი და ლხინის მნახველი გამხდარა.

საჭიროა ეხლავე გამოვაშკარავოთ ეს უდიდესი საკითხი, რომ მომზადებულები წავსდგეთ მომავალ დამფუძნებელ კრებაზე და ჩვენი ხალხის ინტერესები სასტიკად დავიცვათ. ამ საკითხის მოწესრიგება კი ყველაზე კარგა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენ ეროვნულ თვითმართველობას, ტერიტორიალურ ავტონომიას მივიღებთ.

კერძოთ კი რაც რუსეთის გლეხობას შეეხება, ჩვენის აზრით, რუსის გლეხიც, ახალმა მთავრობამ, უნდა კერძო მესაკუთრედ გახადოს. რადგა? იმიტომ რომ კერძო მესაკუთრება—ადამიანს ეროვნულ გრძნობას უფრო ულრმავებს, უფრო უფაქიზოებს. ადამიანი მაშინ უფრო მჭიდროთ უკავშირდება თავის ადგილს, თავის მამულს, მაშასადამე მჭიდროვე უკავშირდება თავის კერას, თავის ოჯახს და უფრო სიყვარულით და პატივისცემით მეეპყრობა თავის საკუთრებას და არ გაანიავებს და არ გაჰფლანგავს თავის ნაშრომს,—ნაამაგარს. ადამიანის პსიხოლოგია ასეთია. თავის საკუთრებას მეტი პატივისცემით, მეტი სიყვარულით ეპყრობა, ვიდრე სხვისას. საკუთარს ადგილზე, თავის მამულზე უფრო მეტ ენერგიას, მეტ სიმხნევეს გამოიჩენს, ვიდრე სხვისაზედ.

კერძო საკუთრების მოსპობით და გაუქმებით, ჩვენ ისევ წინ წასვლის მაგიერად უკან დავიხევთ, ისევ უძველეს დროს მივბაძავთ, როდესაც ხალხს არ გააჩნდა კერძო საკუთრება, დღეს აქ მუშაობდა, ხვალ იქ. დღეს ისე ცხოვრობდა, ხვალ ისე. ეს იყო „მოშური“ ცხოვრება. ადამიანს არ ჰქონდა ერთი ადგილი, სამუდამო სახნავ სათესი. სწორედ ამას გვიქადის კერძო საკუთრების გაუქმება და იჯარით მამულის აღება.

ასე რომ მოხდეს, მაშინ ხომ ადამიანი მალე მოეფუტვნის თავის მშობლიურ ჭერს და სადაც მოეწონება, სადაც უფრო მეტ სარგებლობას მისცემს მიწა, იქ გადასახლდება?! მაშინ ხომ აღარც მამულ-დედულის სიყვარული იქნება, აღარც მშობლიური, რადგან მშობლიურ სიყვარულს მშობლიური კერა ასხივოსნებს და აძლიერებს! ამასთან ერთად, უეჭველია, გაჰქრება მამულის, ადგილისა და ოჯახისათვის ნამდვილი ზრუნვა, მოვლა და პატრონობა. ნუ თუ სოციალიზმის მიზანი ეს არის?!

გ. გარრიკი.

საქართველოს ტყეები და მათი მომავალი

(გაგრძელება)

ეხლა, როცა ტყეები ერის ხელში უნდა გადავიდეს, ცოტა არ იყოს დასანანია, რომ ხაზინის ხელში მეტი ტყე არ არის: ხაზინა რომ დიდი ტყეების პატრონი ყოფილიყო, ამ შემთხვევაში ჩვენი ავტონომიური საქართველო ერთბაშათ და გამოუსყიდველათ დაისაკუთრებდა კარგათ შენახულ ტყეებს. ახლა-კი ჯერ რა პირობით გადავა ერის ხელში კერძო პირის ტყეები—არ ვიცით. თუ გამოსყიდვით, მაშინ ტყე უნდა დაფასდეს სამართლიანად, რაც ადვილი არ არის, რადგანაც ჩვენი ტყეები გამოუკვლეველია და მინამ დაფასდება, დიდი ხანი გაივლის. ეს ტყეები მასთან ძალიან გაჩეხილია.

თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიის პროგრამით ტყე ერის ხელში უნდა გადავიდეს. ამ გადაწყვეტილებას არ შეიძლება აღტაცებით არ მიეგებოს ყველა ნამდვილი ტყის მეგობარი. მარტო ერს შეუძლია ტყის გაფრთხილება, რადგანაც აქამდის კერძო მემამულენი უფრო ტყის მტერსა ჰგვანდნენ, ვიდრე მოკეთეს. რით აიხსნება ეს? სადაც კი ტყეს კარგი ბაზარი და სახერხო მისავალი გზები ჰქონდა, მეტადრე თუ ახლოს იყო ხშირად დასახლებული სოფლები, ან ქალაქები, ხის მასალას და შეშას დიდი ფასები ედო და ტყე ძირზევე ძვირათ იყიდებოდა. ეს დიდი ფასები ტყის პატრონს მადლურივით მოსვენებას არ აძლევდა. გაუჭირდებოდა თუ არა ფული ტყის პატრონს. იგი ტყეს მიმართავდა, ტყე ადვილათ იხსნიდა გაჭირვებისაგან თავის პატრონს. ამიტომ ის ტყეები, რომელნიც იქნება რამდენიმე საუკუნის მოწმენი იყვნენ, ბოლოს დროს მოიჭრა და ჩალის ფასათ გაიყიდა. ამ მოვლენას ყველგან ადგილი ჰქონია და აქვს, როგორც საქართველოში, ისე რუსეთშიაც. კერძო მემამულე ძალიან იშვიათად სწუხს იმაზედ, თუ რა ეწეველება ან მას, ან ქვეყანას, როცა ტყე გამოილევა, ან რა შედეგი მოჰყვება ტყის გაკაფვას.

უნუგეშო მდგომარეობაშია ტყე, როგორც მსხვილ, ისე წვრილ მემამულეთა ხელში, თუ, რასაკვირველია, ტყეს კარგი ბაზარი აქვს. შედარებით კი უფრო მეტათ გაჩეხილია გაუყოფელი ტყე წვრილ მეპატრონეების ხელში. ის მემამულე, რომელსაც ნაკლები წილი აქვს, ეშურება ბევრი ხე-ტყე გამოიტანოს, რადგანაც, თუ ტყე გაიყო, ისეთი ცოტა წილი შეხვდება, რომ მისი მოვლა-პატრონობა არც-კი ღირს. კახეთში და გარეთ კახეთში, მაგალითად, ბევრი მემამულეა, რომელსაც საერთო ტყის გაყოფის შემდეგ იქნება ერთი დესეტინის მეტი არც კი შეხვდეს. ამისთანა პატარა ტყის ნაწილის მოვლა ტეხნიკურათაც კი გასაჭირია.

როგორ პატრონობს სოფელი სასოფლო ტყეს? ბევრგან საქართველოში სოფლებს მიეცათ ტყე. ზოგმა სოფელმა ეს ტყე გაიყო, ზოგან-კი სასოფლოთ გაუყოფელი დარჩა. მომეტებულ შემთხვევაში არც გაყოფილი და არც გაუყოფელი სასოფლო ტყე გაუკაფავი არ დარჩა, ახალმა მეპატრონეებმა, მიიღეს თუ არა ტყე, გაჩეხეს იგი და მერე შიგ საქონელი შეუშვეს. საქონელმა ტყე საბოლოვოთ ამოაგდო.

რასაკვირველია, ისეთი მაგალითებიც არის, სადაც ტყეს სოფელი ძალზედ უფრთხილდება, მაგრამ ამისთანა მაგალითები უფრო იშვიათია. საუბედუროთ ჩვენ ხალხს ჯერ შეგნებული არა აქვს, რომ ტყესაც მოვლა-პატრონობა უნდა. ეს გაუგებრობა, სხვათა შორის, აიხსნება იმითიცა, რომ უწინ, როცა ტყე ბევრი იყო და ხალხი ნაკლები, ტყეს სრულიად ფასი არ ჰქონდა, და მას არც გაფრთხილება სჭირდებოდა, იგი ულეველი და უკლებელი იყო, ყველას აკმაყოფილებდა, როგორც ჰაერი და წყალი.

ეხლა სხვა დრო დადგა, ტყის ფასი აწეულია და შემდეგში უფრო და უფრო აიწევს: ხალხი მრავლდება და ტყეებს კი არამც თუ არა ემატება რა, იგი თან და თან, უგუნური ხმარებით, ილევა და ჰქრება. მაგრამ ვინ ასწავლიდა ჩვენს ხალხს რომ ტყეს გაფრთხილება უნდა, ვინ აუხსნიდა ტყის მნიშვნელობას, როცა ქართველ ნასწავლ ტყის მცოდნეს, შორს რუსეთში გზავნიდენ, საქართველოში კი ნიშნავდენ ისეთ მოხელეებს, რომელთაც არც ენა იცოდენ, და არც ქართველი ხალხის ჩვეულება. თუ ზოგიერთი ამათგანი ელაპარაკებოდა ხალხს, ეს ლაპარაკი უფრო „შტრაფების“, ჩაფრების, ან მათრახების საშუალებით ხდებოდა.

ასე თუ ისე, ვერც კერძო პირი და ვერც სოფელი ტყის ისე არ უვლიდა და ვერც მოუვლის, როგორც საჭიროა. ესენი მეტის მეტად ფიქრობენ სადღეისოთ, რომ ისეთი სამუდამო და საბოლოვო მამული, როგორიც ტყეა, რიგიანად იხმარონ.

ამით აიხსნება, რომ სახელმწიფო არ ენდობა კერძო ტყის მეპატრონეებს ტყის ხმარებაში და ტყეს უწევს მფარველობას. სახელმწიფო ხმარობს თავის ავტორიტეტს და შესაფერი კანონებით ზღუდავს კერძო საკუთრების უფლებას, თუმცა დანარჩენ შემთხვევაში იგივე სახელმწიფო სავსებით იცავს თავის დანიშნულებას—კერძო საკუთრების პრინციპს.

შეიძლება გვკითხონ, რა საჭიროა ტყეების ასე გაფრთხილება, რათ უნდა შევიწროვდეს მუშა ხალხი ტყის გულისთვის, რად უარყოფს ამისთვისვე თვით სახელმწიფო თავის უმთავრეს საკუთრების პრინციპს?

შემდეგში ვეცდებით შეძლებისა და გვარათ გამოვარკვიოთ რა მნიშვნელობა აქვს ტყეს ჩვენში, რომელი ტყე შეიძლება უვნებლად გადაეცეს მშრომელ ხალხს და რომელი აუცილებლივ საერთო ფონდს უნდა მიეკუთვნოს.

ჯერ ტყის მნიშვნელობაზედ.

დღეს გაკაფული ტყე, რომ ისევ ტყეთ იქცეს, კარგა ხანმა უნდა გაიაროს. ამისთვის საჭიროა ორმოციდან ას წლამდის, იმის და მიხედვით რა ჯიშის და სიმსხო ტყე იყო აქ. მაშასადამე ახლად გაკაფული ადგილები დიდი ხნით უსარგებლოდ რჩებიან, და თუ ჩვენ ბევრი ტყე გავკაფეთ, შეიძლება ხვალ ჩვენ, და შემდეგ კი ჩვენი შვილი და შვილიშვილები უტყეოთ დავრჩეთ. ამიტომ ტყის ხმარებას (ექსპლოატაციას) დიდი მოფიქრება და ეკონომია უნდა.

ჩვენ შეგვიძლიან ტყიდგან გამოვიტანოთ იმდენი ხე-ტყე, რამდენიც ყოველ წლივ ემატება სისქე-სიმაღლე (древесина), რამდენათაც იგი იზრდება. მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში ყოველ დესეტინა ტყეს ემატება ერთი კუბიკური საჟენი (თითქმის ამდენი ემატება ჩვენ ტყეებს), მაშასადამე ჩვენ უკლებლივ შეგვიძლიან გამოვიტანოთ ტყიდგან იმდენი კუბიკური საჟენი ხე-ტყე, რამდენიც ჩვენ დესეტინა ტყე გვაქვს.

თუ ასე მოვიქცევით, ტყის თავნი ხელ-უხლებელი და უკლებელი დაგვრჩება, ჩვენ მხოლოდ სარგებლით ვიცხოვრებთ. იმაზედ მეტის ხე-ტყის გამოტანა კი, რასაც ატმოსფერა და ნიადაგი ყოველ წლივ აძლევს უსამართლო და უგუნური გაღარიბება იქნება ჩვენი შთამომავლობისა.

შეიძლება აქ გვკითხონ, „განა დიდი უბედურება იქნება, თუ ჩვენ ჩვენივე ტყე არ გვეყოფა? განა საჭირო ტყეს უცხო ქვეყნიდგან ვერ შემოვიტანთ?“ მართალია ასე იქცევიან ისეთი განათლებული ქვეყნები, როგორიც არიან ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია და სხ. რადგანაც ამ ქვეყნებმა დიდი ხანია თავიანთი ტყეები ძალზედ გაკაფეს, ხალხი კი ძალზედ გამრავლდა, ამიტომ საჭირო ხის მასალა შემოაქვთ სხვა და სხვა ქვეყნიდან. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეხლა განათლებული ქვეყნები ძალიან უფრთხილდებიან თავიანთ ტყეებს და ცდილობენ რაც შეიძლება შემოტანილ ტყით გაუძღვენ საჭიროებას, რომ თავიანთ ტყეს შეღავათი მისცენ.

გერმანია შურის თვალით უყურებს იმ ქვეყნებს, რომელნიც მდიდრები არიან ტყით, როგორც, მაგალითად, რუსეთი, გამოჩენილი ტყის მცოდნე შვაპახი იმ აზრისაა, რომ ტყით მდიდარი ქვეყანა შემდეგში ძალიან ბედნიერი იქმნება და მომავალი ამისთანა ქვეყნისაა.

მართლაც და ტყეები თან და თან მცირდებიან და ამისდა მიხედვით ხის მასალა და შეშა ძალიან ფასში იწევს და თან და თან შოვნაც ჭირდება. ტყე შემდეგში ზეზეურ მადნათ გადიქცევა.

მაგრამ შემცდარი აზრი იქნება, თუ გვეგონება, რომ ტყეს მხოლოდ იმდენათ აქვს ფასი, რამდენადაც იგი აკმაყოფილებს ერის მოთხოვნილებას ხე-ტყეში. ტყეს უფრო დიდი და დაუფასებელი სარგებლობა მოაქვს სხვანაირათაც. ჩვენს ქვეყანას მომეტებულად მთიანი ალაგი უჭირავს. სოფლები, სახნავ-სათესი და ვენახები მომეტებულათ მთის კალთებზე და ფერდობზე არიან შეფენილნი. ტყეებს ხშირათ უჭირავთ სოფლების ზემო ადგილები და მთები. რომ ადვილათ დავინახოთ ტყის მნიშვნელობა, შევადაროთ ერთმანეთს ორი ერთნაირად მთიანი, ერთნაირათ დაქანებული ადგილი მხოლოდ ერთი ტყით მოსილი, მეორე კი უტყეო მოტიტვლებული. წარმოვიდგინოთ, რომ ორივ ალაგას მოდის თოვლი. უტყეო ალაგას მოსულ თოვლს ქარი დაბლობში და ხევებში შეაგროვებს (ნამქერი) და თვით ეს ალაგი უთოვლოდ დარჩება, ან იმდენათ ცოტა თოვლი შერჩება, რომ ამ თოვლის წყალი ვერც კი დაასველებს ნიადაგს. წარმოვიდგინოთ, რომ უქარო ამინდია და თოვლი ნამქერად არ მოგროვდა. მაინც მოტიტვლებულ ალაგას დამდნარი თოვლი ნიადაგს წყლით ვერ გაამდიდრებს იმიტომ, რომ მზე მოტიტვლებულ ალაგას მალე აღნობს თოვლს, და თოვლის წყალი ვერ ასწრობს ნიადაგში ჩაწრეტას—ზევ-ზევით მიდის და ხევების წყალს ემატება; თოვლის წყალი აქ თითქმის უსარგებლოდ იკარგება.

მაგრამ ეგ არაფერი, თუ ამ წყლებმა სარგებლობა არ მოიტანეს. უბედურება ის არის, რომ მათ დიდი ზიანი მოაქვთ. ადიდებული წყლები რეცხავენ ნიადაგს, ამრავლებენ ხევებს, მარხავენ სილითა და ქვით სოფლებს და მინდვრებს და სხვა.

უფრო დიდი ზარალი მოაქვს დიდ ხშაპუნა წვიმას უტყეო მხარეში. წვიმის წყალი ერთბაშათ ეშვება მთიდგან, რადგანაც ნიადაგის წყალს არაფერი, არ იჭერს: ნიადაგი იმდენად ცოტა წყალს ისრუტავს, რამდენიც იგი მეტად დაქანებულია, ამიტომ თითქოს უკლებლივ წვიმის წყალი ნიაღვარს ემატება. ნიაღვრის შეერთებულ წყლებს დიდი უბედურების მოტანა შეუძლიათ: რეცხავენ ნაყოფიერ ზემო პირს, ათას ალაგას ხრამავენ ფერდობებს; წამოღებულ ლამით, ქვიშით და ქვით ფარავენ რამდენიმე საათის განმავლობაში ვენახებს, მინდვრებს და სოფლებს. ერთი დღის განმავლობაში ნიაღვრის წყლებს აყვავებულ სოფლების უდაბნოთ გადაქცევა შეუძლიათ.

ტყეში მოსულ თოვლს და ავდარს სამაგიეროთ დიდი სიკეთე მოაქვს. ეს თოვლი ნამქერათ არ გროვდება ხევებში, რადგანაც ქარი ტყიდან თოვლს ვერ იღებს: ქარი ძალზე ყურდება და ძალა ეკარგება ტყეში, გარდა ამისა თვით ხეები თავის ღეროებით და ტოტებით იჭერენ თოვლს. ქარს არამც თუ არ შეუძლია ტყიდან თოვლის გადატანა, იგი ტყეში აგროვებს თოვლს. ტყეში შეგროვილი თოვლი მძიმეთ და ნელ-ნელა დნება*), როგორც საყინულეში, რადგანაც თოვლს ხეების ტოტები და ღეროები აჩრდილებენ მზის სხივისაგან. მძიმეთ დამდნარი თოვლის წყალი ასველებს ნიადაგს და თან და თან მიწაში იწრიტება. ჩაწვრეტას ძალზე შველის ტყის ხმელი ფოთოლი, რომელიც, როგორც ღრუბელი, წყალს აგროვებს და მერე ამ წყალს ნიადაგს აძლევს. ნიადაგში წყლის ჩაწრეტას მომეტებულად კიდევ ხელს უწყობს ტყის მეტის-მეტი ფხვიერი მიწა, რომელიც დაბალულ ადგილს მოგაგონებთ (უტყეო ალაგას მიწა ყოველთვის მაგარი და დაზექილია). აქ წყალი ისე მიდის ნიადაგში, როგორც ცხრილში. მასთან ამ წყალს ხეების ფესოები ნიადაგისკენ უნაკადებენ. თოვლი ამნაირათ ამდიდრებს ნიადაგს წყლით და ეს წყალი გამოდის სადმე ფერდობებში ანკარა წყაროთ. მაშასადამე ტყე არამც თუ თავისათვის აგროვებს წყალს ნიადაგში, ბევრს წყაროებსაც კვებავს.

ტყე ხშაპუნა და დიდ წვიმასაც უშიშრათ ხვდება. როცა დიდი ავდარი მოდის ტყეში, ამ ავდრის წყალს ჯერ ფოთოლი და ტოტები იკავებენ (ვინ არ შეფარებია ტყეში ავდარს?), მერე როცა წვიმის წყალი მაინც ნიადაგამდის აღწევს, ახლა იქ იწრიტება. ამიტომ ის ხშაპუნა წვიმა, რომელიც ეგრე საზარალო და საშიშოა უტყეო ალაგას, სულ უვნებელია, როცა ეს წვიმა ტყეში მოდის, სადაც ათასნაირი დაბრკოლება ეღობება მის ნიაღვარს.

რასაკვირველია, ძალიან დიდ ავდარს ვერც ტყე დაიჭერს, მაინც ტყეში ნიაღვარს ზარალის მოტანა არ შეუძლია, რადგანაც ნიაღვრის წყალს თან ნიადაგი, სილა და ქვა არ მიაქვს. ხის ფესოები ადვილად არ უთმობენ მიწას. ტყეში ყოველი ჯაგი ნიაღვარს ებრძვის, ასუსტებს მის გიჟურ ძალას, და იჭერს თავის ათასი საწოვრებით ტყის ნიადაგს. აი ავდარმა გადიღო, ტყეში ჯერ ავდარი არ შეწყვეტილა. ფოთოლზე და ტოტებზე შეჩერებული ცვარი თან და თან მძიმეთ ეშვება ნიადაგზე და ამდიდრებს წყლით მიწას.

რა მოუვა ამავე ადგილს, თუ ტყე გაიკაფა.

საქონელი თუ კი არ მოსპობს ყლორტებს და არ ამოაგდებს ტყეს, ნორჩი ტყეც კარგა ამაგრებს ნიადაგს და აგროვებს წყალს. მაგრამ თუ გაკაფულ ტყეში ოთხ ხუთ წლამდის საქონელი შეუშვეს, საქონელი დაქნის გზებს, ამოაგდებს ტყეს. ტყისაგან მიძინებული სტიქია ღვიძებს, ამრავლებს ხევებს (საქონლისაგან დაქნილ გზიდგან იწყობა ხევი), ასებს ქვით სოფლებს, აფუჭებს გზებს და ისე სცვლის არე მარეს, რომ სოფელს ხშირათ გადასახლება უხდება.

ნუ გგონიათ, რომ ეს მარტო თეორეტიული მოსაზრება იყოს. ამისთანა ფაქტები შემოწმებულია ათას ალაგას.*)

*) იხ. სხვათა შორის ჩვენი წიგნი: „Изъ лѣсовъ циво-гомборскаго хребта и лѣсныхъ долинъ Іоры и Алазаны“.

რასაკვირველია, ნიადაგ-გასამაგრებელი და წყალ-მაგროვებელი მნიშვნელობა ყველა ტყეს ერთი და იგივე როდი აქვს. ამ მხრივ ტყე იმდენათ უფრო დაუფასებელია, რამდენათაც მეტ დაქანებულ ალაგას სდგას იგი, მისი მნიშვნელობა იმდენათ მეტია, რაც უფრო ქვედა ნიადაგი (подпочва) ტყისა ქვიშიანია, ან ფხვიერ მიწიანი, რომელიც ადვილათ იშლება. სამაგიეროთ ტყის მნიშვნელობა გაცილებით ნაკლებია სწორ ალაგას, ან სადაც ქვედა ნიადაგი მაგარი და დაუშლელ კლდისაგან შესდგება.

ს. ქურდიანი.

(დასასრული იქნება)

ი.ხ. „საქართველო“ № 177.

*) თოვლი ტყეში ორი სამი კვირით გვიან დნება, ვიდრე უტყეო ალაგას.

კორესპონდენცია

ზესტაფონიდან

ქ. ზესტაფონის ქალ-ვაჟთა სამზრუნველო საბჭოს ამ დღეებში მოუწვია ოლქიდან ნებართვა საზოგადოების საშუალებით ქალთა და ვაჟთა სრულ უფლებიანი მთავრობის გიმნაზიების დაარსების შესახებ.

საბჭომ მოისმინა ოლქის დადგენილება და დაადგინა დღიდანვე შეუდგეს გიმნაზიების გამგის და მასწავლებლების მოწვევის შესახებ ზრუნვას, აგრეთვე ბინის მოძებნა, თხოვნების მიღება და ინვენტარის შეძენის შესახებ ზრუნვას შეუდგა.

ასე რომ გიმნაზიებში ახლად დამტკიცებულს ქალაქს ზესტაფონს მომავალი სასწავლებლო 1917—1618 წ. წ. უკვე გაიხსნება და სწავლის მოყვარულთ შეძლება მიეცემათ თვისის მიზნის მიღწევისა.

ეს საშუალო სასწავლებლების გახსნის საკითხი მოწიფებული იყო ჩვენში და ამ ჟამად განხორციელდება უსათუოთ.

თხოვნები მიიღება უკვე საბჭოს სახელზე.

ქ. გძელი.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

1917 წელსა ივლისის 26 დღესა.

თავისუფალ ეკლესიის ქრისტიანულ კავშირის სამეგრელოში მმართველობამ, თავის პირველ სხდომაზე, ქ. ახალ-სენაკში, მოისმინა მმართველობის თავმჯდომარის ამხანაგის მღვდ. კირილე ჯავახიასაგან შემდეგი მოხსენება:

„მდგომარე ივლისის 2-ს, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის შეგირდთა ერთმა ჯგუფმა დ. ძველ-სენაკის სცენაზე დადგა „ეშმაკის მათრახში“ დასტამბული (№ 20—1917 წ.) პიესა სახელწოდებით „ავტოკეფალია“. ამ პიესამ მომაგონა „Русское Слово“-ში მოთავსებული საყურადღებო წერილის ერთი ადგილი:—„ამერიკელი მოქალაქე ამბობსო:—მე თავისუფალი ვარ, ვერავინ შემეხებაო... რუსის მოქალაქე კი ასე ამბობს:—მე თავისუფალი ვარ, შემიძლია ყველას ვცემოო!“

რას ბრძანებს ავტორი თავის „ავტოკეფალიაში“?—ის, ვიღაც გარყვნილ-გაფუჭებულ მღვდლის ბაგით, ეხება მორწმუნე ხალხის წმიდათაწმიდას—სარწმუნოებას და, თავისებურად, დედამიწასთან ასწორებს მას... ვის შეუძლია ასეთ გამოსვლას უწოდოს გამოსვლა მიზან-შეწონილი სინიდისის თავისუფლებასთან?! სინიდისის თავისუფლება არის გონების საქმე და გონიერი ადამიანი შეიძლება ურწმუნო იყოს, მაგრამ იგი არას დროს თავს ნებას არ მისცემს ავი აზრით შეეხოს სხვის სარწმუნოებას, ვისიც გინდ არ იყოს და რანაირიც გინდ არ იყოს იგი!

მაგონდება ერთი ეპიზოდი, რამდენიმე წლის წინათ აჭარაში მომხდარი: მთავრობამ იქ აბაშიძე მღვდელ-მონაზონი გაგზავნა მისსიონერად. მამა აბაშიძემ გადადგა მოუფიქრებელი ნაბიჯი და მაჰმადს შეეხო... ჯამალ ბეგ ხიმშიაშვილმა (აჭარსკი) ამის გამო შემდეგი უთხრა მისიონერს:—„შეგიძლია რამდენიც გინდა აქო ადიდო შენი ქრისტე, შეგიძლია მონათლო, ვინც ქრისტეს თავის ნებით იწამებს, მაგრამ ავად არ შეეხო მაჰმადს, თორემ თავს წაგაცლიო!“

შეგვიძლია არ დავეთანხმოთ თ. ხიმშიაშვილს „თავის წაცლაში“, მაგრამ არ შეიძლება არ ვიწამოთ მისი გამოსვლა სამართლიან გამოსვლად.

რა მოუვიდოდა „ავტოკეფალიის“ ავტორს, რომ შეხებოდა მაჰმადს ისე, ვით შეეხო ღვთისმშობელს და ქრისტეს?—მაჰმადიანები ერთბაშად ფეხზე წამოდგებოდნენ და სამართლიან ალიაქოთს ასტეხდნენ... მაგრამ იცოდა ავტორმა, რომ ინდიფერენტულად განწყობილ ქრისტიანებში იგი პროტესტს არ გამოიწვევდა და აკი არც გამოუწვევია!..“

კავშირის მმართველობამ მოისმინა რა ეს მოხსენება, დაადგინა: „უღრმესი უკმაყოფილება გამოუცხადოს „ავტოკეფალიის“ ავტორს, რომელსაც ავად უსარგებლებია სინიდისის თავისუფლებით. „ავტოკეფალიის“ ავტორს შეეძლო ავტოკეფალიის წინააღმდეგ გამოსულიყო, თუ არ თანაუგრძნობდა მას, შეეძლო დაეხატა გარყვნილი მღვდელიც, რასაც თავის მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ არ ჰქონდა ზნეობრივი უფლება ხალხის სარწმუნოებას შეხებოდა. კეთილ-გონიერებას არ შეიცავს თვისი სინიდისის ალღით სხვისი სინიდისის სიღრმე-სიგანის გაზომვა“.

თავისუფალ ეკლესიის ქრისტიანულ კავშირის მმართველობის თავმჯდომარის ამხანაგი მღ. კ. ჯავახია.

—

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ. შემდეგს:

დ. სურამში მცხოვრებს ერთ კაცს უჩიოდნენ მუშები ფულს. კაცმა მისცა კომიტეტის თანდასწრებით ვადა მუშებს და რაღაც მიზეზის გამო დანიშნულ დროს ვერ გამოცხადდა კომიტეტში. ამის გულისთვის იმ კაცის მაგიერად კომიტეტის წევრმა—ვანო დავითიანცმა დააპატიმრა იმ კაცის ცოლი.

ქალს გაუკვირდა დავითიანცის ასეთი უკანონო განკარგულება და ჰკითხა: ნუ თუ მთავრობის დადგენილება არის, რომ ქმრის მაგიერათ უდანაშაულო ცოლი დასაჯოთ? დავითიანცმა ამაყად უპასუხა. ეს გადაწყვიტა სურამის კომიტეტის წევრმა მდივანმაო.

ასეთი მოულოდნელი შემთხვევით თავზარდაცემულმა ქალმა სთხოვა დავითიანცს—მე გამათავისუფლეთ, ჩემი ქმარი ყაჩაღი ხომ არ არის, რომ სადმე გაიქცეს, დეპეშას გავგზავნი და მოვა, მე რომ აქ დამატუსაღოთ სახლში სამი პატარა ბავშვი უპატრონოთ დავტოვე და დაიხოცებიანო. გაგზავნა კაცი, დეპეშა გააგზავნია ქმართან, დეპეშის გაგზავნის ბარათიც უჩვენა დავითიანცს. მაგრამ არავითარმა ხვეწნა-მუდარამ არ იმოქმედა მასზე და უდანაშაულო ქალი მაინც დააპატიმრა ქმრის მაგიერათ- და ამ გვარათ დილიდან საღამომდის იტანჯებოდა უდანაშაულო ქალი და საცოდავი ბავშვები გულსაკლავად წიოკობდნენ უდედოთ დარჩენილები.

ამ საშინელების ნახვით შეძრწუნებულნი ყველა ის პირნი, ვინც ქვემორე ამისა ხელს ვაწერთ, შევეკითხეთ [illegible] მილიციონერებს, თუ ვინ გადაწყვიტა [illegible] საზიზღარი განაჩენის სისრულეში მოყვანა. მათ გვიპასუხეს—ბ. კირილე ნინიძემ, ბ. ალექსანდრე მდივანმა, სომხების მღვდელმა ტერ-ოსეფოვმა და თვით ამ დავითიანცმა.

მიკვირს ბ. მდივანი როგოროთ დათანხმდა ამ დადგენილებას, რომ ქმრის მაგიერ უდანაშაულო ცოლი დასაჯონ და ისიც დედა სამი შვილისა, რომელნიც უპატრონოდ ჰყავს სახლში დატოვებული.

ახლა ესეც ვიკითხოთ. ასეთ თავისუფლების დროს ასეთი უსამართლობა უნდა ხდებოდეს?! სად გაგონილა ცოლი ქმრის მაგიერად დაიჭირონ?!

დროა ასეთ უსამართლობას სურამის რაიონში ბოლო მოეღოს.

ნინა სოკოლოვა,
ეკატერინე ხეროდინოვა,
ნადია ეხვაია,
იულია ჯაფარიძე.
ზუბადალი,
ვანო აბაშიძე,
იოსელიანი,
ქრისტინა ვეზიროვა.
მარიამ აბაშიძისა.

—

24 ივლისს დ. აბასთუმანში გაიმართა წარმოდგენა თეატრ-„დილი-პალასში“ აბასთუმნის ეროვნულ-დემოკრატიულ კომიტეტის სასარგებლოდ.

შემოსავალი იყო 484 მან., გასავალი 147 მან. და 55 კაპ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 336 მან. 45 კაპ., რომელიც უკვე მიიღო ორგანიზაციამ.

აბასთუმნის კომიტეტი მადლობას ვუძღვნით ყველა იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და მიიღეს გამართვაში მონაწილეობა.

აბასთუმნის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ თორაძისა**, მდივანი
აკაკი კოხტავა.

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

ამიერ-კავკასიის რკ. გზის
მატარებლების მიმოსვლა
(დრო ნაჩვენებია ტფილისის)

ტფილისიდან გადის:

ბათუმისკენ	საფ.	№ 3,	11.05 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.48 საღ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	8,20 დღ.
„	„	№ 17,	8.27 დილ.
გორისკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54 დღ.
„	საფ.	№ 4,	9.28 საღ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-3,	11.12 საღ.

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51 დილ
„	საფ.	№ 4,	8.33 საღ.
ხაშ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 საღ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34 საღ.
ბაქოიდან	საფ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 საღ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40 საღ.
ყარს-ჯულფ.	საფ.	№ 3***,	8.10 დილ.

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

კომიტეტი
ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

კომიტეტი ქ. ს. კ.

თევზის მრეწველნი
ძმ. ძიგველოვები
ტეზიკიანის ქუჩა, ხაჯიაურის სახ., № 9, ტელეფონი № 112.

[illegible] (წ.)